№ 112
1-40

ივლისი. 1911 წ.

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I სურათი „თუ გადავრჩები!“ 386
II ობოლს უმღერდა—ლექსი გ. ქუჩიშვილისა 387
III შვილდ-ისარი თარგმანი გრ. მუკვანაძესი 388
IV ძაღლი და გველი ტასოსი 389
V უბედური შემთხვევა, ამბავი თარგმანი ტ. მ. . . . 390
VI თევზების ცხოვრებიდან ს. ფ. 396
VII მელა გუპილის საზარელი თავგადასავალი (შემდეგი) თარგ. ფრანგულიდან ედ. დემოლონ-წერეთლისა . . 401
VIII მაიმუნის ეშმაკობა ფრანგულიდან ტასოსი 406

IX ია—გ. ქუჩიშვილისა 408
X პეერი და ულფი ნორვეგიის მიყრუებულ მთებში (დასასრული) თარგმ. ი. ჭაკნელისა 410
XI ბიძიას ნაამბობი ალ. ნათაძესი (შემდეგი) 415
XII ალექსანდრე მაკედონელი, (შემდეგი) ივ. გომაზთელისა 420
XIII ჯეკი. ცეცხლის მქრობელი რაზმის ძაღლი (შემდეგი) თარგმანი ეკ. მესხისა 427
XIV სახალხო ლექსი ჩაწერილი დ. ენუქიძეს მიერ . . . 436

მიიღება ხელის მოწერა 1911 წ.

ამ **1911** წ. ხელის მომწერლებს დაურიგდებათ საჩუქრათ ორი წიგნი.

1) **ღვთის წყალობა** დასურათებული მოთხრობა გიორგი წერეთლისა.

2) **საყმაწვილო ამბების კრებული** სურათებით.

„ჯეჯილის“ რედ—ში იყიდება მეძდეგი ახალი გამოცემა:

„ცხოველების გამჭრიახობა“ . . . . . 25 კ.
„ბატონ-ყმობის გაუქმება“ . . . . . 12 კ.
„საქართველოს ისტორია“, ორი ქართით ს. გორგაძისა . 20 კ.

საუმაწვილო, ნახატებიანი ჟურნალი.

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

ივლისი, 1911

✦ წელიწადი მეოცდამორე ✦

917
1121
941/ეკ

თბილისი
ელექტრომბეჭდავი „შრომა“, მუხრანის ქ. № 12.
1911

თუ გადავრჩები!

ოგოლს უმღერდა...



(ვუძღვნი ბავშვების საყვარელ მწერალს შიოს).

—

იხარდე, ტურფა ევავილო,
ევავილო გაზაფხულისო;
დედის ნანინათ შეგეტკბოს
ჩუხჩუხი ნაკადულისო.

—

ლოცვად მიიღე, აღმა ცად
სიმღერა თეთრის გედისო;
ალერსად—მშვიდი ღუღუნი
შენებრ უმანკო მტრედისო.

—

იხარე, ბავშვო პატარავ,
თავს ნუ იგულებ ობლათო;
გფარვიდეს ღმერთი მაღალი
და იგივ გწამდეს მშობლათო.

გ. ქუჩიშვილი.

შვილდ-ისარი.



ერთ მონადირეს ჰქონდა შავი ხის ლამაზი შვილდ-ისარი, რომელიც შორს და სწორეთ ისვრიდა. მონადირეს უყვარდა და ძალიან აფასებდა თავის შვილდ-ისარს.

ერთხელ მონადირემ დახედა მას და გაიფიქრა: რომ უფრო ფასი მიეცეს — ოდი დავამშვენებ; და სთხოვა მხატვარს თავისი ნახატით შეემკო შვილდ-ისარი. მხატვარმა მართლაც ამოსჭრა ზედ მონადირეთა გუნდი. მონადირეს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რომ მისი შვილდ-ისარი ახლა ერთი ორათ უფრო ძვირფასია.

მაგრამ როდესაც ტყეში ერთხელ ესროლა გარეულ მხეცს, — შვილდ — ისარი ისე დაწვრილებულიყო რომ ზედ შუაზე გადატეხა.

გრ. ჭუკანაძე.

(თარგმანი)



ეროვნული ბიბლიოთეკა

ძაღლი და გველი.

ერთი ემაწვილი მინდორში ახალ მოთიბულ სურნელოვან თივაზე ნებივრად გორაობდა. მასთან ახლოს იწვა ძაღლი და ძვალს ღრღნიდა.

უცბათ ემაწვილი შეშინებული წამოხტა. რაღაცამ ცივმა ხელებზე გადაუარა: თურმე გველი ეოფილიუო. ემაწვილი წამოხტა და გაქცევის მაგივრათ ერთ ადგილას გაშეშდა. ერთი წუთიც რომ დასცლოდა, დაიღუპებოდა. ძაღლმა გადაარჩინა სიკვდილს. წამოვარდა და მივარდა გველს. ატუდა მათ შორის ბრძოლა. გველი ჭკბენდა ძაღლს გულზე, ჰირზე, მუცელზე... ძაღლი-კი ღრღნიდა, თელავდა ფეხებით.

ბოლოს გველი აღარ იკბინებოდა. ძაღლმა ნაკუწ-ნაკუწათ აქცია და თვითონაც სადღაც გადიკარგა, გადიღუპა.

ძაღლი მხოლოდ ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა: გამხდარი, მშიერი, მაგრამ კარგა-მეოფი.

თურმე ძაღლებმა იციან ისეთი ბალახი, რომელიც გველის ნაკბენს მოარჩენს.

(თარგმანი)

ტასო.

უბედური შემთხვევა.

ამბავი.

ანიერი მდინარე შპრეგელის შორი-ახლოს მეუდროთ მიკუნჭულიუო ერთი პატარა სოფელი. ამ სოფელში ხალხი მშვიდობიანათ ცხოვრობდა. მთელი მინდორ-ველი, რომელზედაც იუო გადაშლილი ეს სოფელი, ათას — ფრად ეკაოდა. მისი სუფთა, ფაქიზი სახლები იმალებოდენ ხშირ ხეების ტოტებში, და მხოლოთ მზის ჩასვლის დროს მათი ფანჯრები ცეცხლისაებრ ალისფრად ბრწყინავდენ.

ლამაზი და მედიდურია მდინარე შპრეგელი! მაგრამ ხანდისხან მრისხანეთ შემოსძახებდა დიდ ნიაღვრების დროს, ან გაზაფხულზე, როდესაც თოვლი დნებოდა. მაშინ ადიდებოდა ხოლმე, გადმოვიდოდა თავის კალაპოტიდან და მთელ მიდამოებს წალეკავდა. დიდი უბედურება ხდებოდა ამ მდინარის ადიდების გამო.

ერთხელ გაზაფხულის პირზე სამი დღე და ღამე განუწყვეტლივ მოდიოდა ნიაღვარი; ცივი, მძვინვარე ქარი უწყალოთ ჰქროდა. ამ მდინარეს ვეღარ იცნობდით: სრულებით გამოიცვალა, მთლათ გაშავდა, თეთრი ქაფი აზვირთდა, ტალღები ტეკიასავით მძიმეთ ეხეთქებოდენ ნაპირებს.

იოანნა დოილერს მთელი ღამე არ სძინებია. მისი

ქმარი სათევზაოთ იყო წასული და თვითონ სამი შვილით ღვთის ანაბარას იყო მიტოვებული. დილა ადრიან იოანნას უცბათ შემოესმა საშინელი გუგუნი; მიეარდა ფანჯარას და თავზარ-დაცემული, ცოცხალ-მკვდარი გაშეშდა. მთელი მიდამო წყლით წალეკილი იყო. წყალი შემოვარდნილიყო სოფელში და თანდათან უახლოვდებოდა სახლებს.

— წყალი წაგვიღებს! წაიჩურჩულა შეშინებულმა იოანნამ; — ღმერთო, დაგვიფარე! სად არი ახლა ვალტერი? ჩემ დედას რაღა ეშველება მარტოთ მარტო თავის სახლში?

ხმაურობა ისმოდა ქუჩიდან: ჭეიკილი, ყვირილი. იოანნამ სწრაფად გააღვიძა ბავშვები და როგორც იყო საჩქაროთ ჩააცვა ტანისამოსი.

— დედა, რა მოხდა, რა ამბავია! ჰკითხა ერთ ხმათ ორმა ბატარა ქალმა.

— ჩქარა, ჩქარა, — ეუბნებოდა დედა, — საშიშარი ამბავია ჩვენ თავს, წყალი მოვარდა...

— ნუ გეშინიან, დედილო! შეჰკივირა მისმა ვაჟიშვილმა რუდიმ, — ღმერთი ჩვენ არ გაგვწირავს!

— ეური დაბიგდეთ, შვილებო, უთხრა იოანნამ, — რა ეშველება ბებიას: ის მარტოთ-მარტოა თავის სახლში და ადგილიდან დამყრა ხომ არ შეუძლიან, იმ უბედურს!

— დედილო, — ხელ ახლათ შეჰკივირა რუდიმ, — წადი იმასთან საშველათ, ჩვენი ნუ გეშინიან, წყალი არ მოაღწევს ჩვენამდის, სახლი მაღლობზე გვიდგია; ბებია-კი ზედ წყლის პირას ცხოვრობს.

— თუ წყალი შემოვარდება აქა,—ჩვენ მაგიდაზე ავარდებით და ისე დაგიცდით შენ,—სთქვა უფროსმა ქალმა, გრეტამ.

— დამიგდეთ ეური, შვილებო; ბებიას მიტოვება არ შეიძლება, თქვა იოანნამ,—ისხედით ჭკვიანათ, ნუ გახვალთ ნურსად. მე ჩქარა დავბრუნდები და, თუ წყალი შემოგივარდეთ, აირბინეთ ჩარდახში, იქიდან კიდევ სახურავზე და იქ დამიცადეთ.

დედა გულ-მოკლული გადაეხვია შვილებს და ბევრი კოცნის შემდეგ მოიგდო თავშალი და დაეშვა სოფლისკენ.

—

ამ დროს წყალი იყო მსოლოდ კოჭებამდის. ამ გარემოებამ იოანნა გაამხნევა და მისცა ძალა. ის კი არ მიდიოდა—ძიფრინავდა თავის დედის სახლისკენ.

წყალი თან და თან მატულობდა და მატულობდა. მუხლებამდის მოადგა საბრალოს. სიარული თან და თან უძნელდებოდა. ქარმა მოგლიჯა თავშალი, თმებს უწეწავდა და უბურძგნიდა. მან სასოწარკვეთილებით მიისედა თავის სახლისაკენ: ჩემო ბავშვებო! ამოიკვნესა მან;—არა, იქ ადგილი მაღლობია, წყალი აგრე ადვილათ არ მიაღწევს, მეც სომ დროზე დავბრუნდები ძათთან.

წყალი ბებია მართას სახლს მისდგომოდა. ფანჯრებამდის ასულიყო. როდესაც იოანნა შევიდა სახლში, იქაც წყალი შევარდნილიყო.

საწყალი მართა სავარძელში იჯდა. წყალს მიეღწია მის მუხლებამდის, მაგრამ მართას ვერ შეეძლო

სხვის დაუხმარებლათ გამოსულიყო ოთახიდან და თავის თავისთვის ეშველა.

— დედა! შესძახა იოანნამ, და ერთი ორათ ძალმომატებულმა, როგორც ბავშვი, აიტაცა ხელში მართა და გამოიყვანა ქუჩაში. გარშემო ღრმა ტბა იდგა და შიგ მოჩანდენ სახლების სახურავები. იოანნამ აიხედა თავის სახლისკენ. მადლობა ღმერთს—ის იდგა ხელუხლებლათ.

— ბავშვები? ჰკითხა ბებიამ.

— მე მიგიყვან უვნებელ ადგილას და მერე დავბრუნდები იმათ დასახსნელათ.

— მადლობელი ვარ, მადლობელი! ათრთოლებული ხმით წარმოსთქვა საწყალმა ბებიამ და როგორც ბავშვი მორთო ტირილი.

იოანნა არა გრძნობდა სრულებით დაღალვას, გაკაჟებული წყალს არღვევდა, მუხლებამდის წყალში დადიოდა, მძიმეთ სუნთქავდა, მუხლების და ხელების ძარღვები სისხლით დაეტენა, სახე გაუჭარხლდა.

უცბათ დაინახა იოანნამ, რომ მენავეები მოცურავენ მასთან საშველათ. მართა ჩასვეს ნავში, იოანნაკი სწრაფათ გაექანა თავის სახლისკენ.

— სად მიდიხარ, შედეგ!... მისძახოდენ მენავეები. მან ერთი გადახედა მენავეებს და მოჰკურცხლა.

იოანნა ერთბაშათ წააწყდა აზვირთებულ დიდ ტალღას, რომელმაც კინაღამ წააქცია, მაგრამ ის ცოტა შედგა, ამოისუნთქა და კვლავ უფრო ხალისით გაუდგა გზას.

ეი ნაცნობი ბუჩქები, ხეები, ამათი მეზობლიანთ შენობა. იოანნამ შეუხვია იმ კუთხეს, საიდანაც მოჩანდა მისი სახლი; მან უცბათ შეჰკივირა და კინაღამ წაიქცა.

სახლი მათი აღარსად იყო. გარშემო მოცურავდენ გროვა-გროვა ფიცრები, სახლის კოჭები, სახურავები, ოჯახის ავეჯეულობა.

თითქოს გული მოსწყდა იოანნას და თავში აზრები აერია.

— ღმერთო, რა დაგიშავე, რა შეგცოდე! შეჰკივირა მან.

ამ დროს თითქოს მაღლა ციდან შემოესმა თავისი ბავშვების წკრიალი ხმა:

— დედა, დედა! მე ხომ გეუბნებოდი, რომ ეს დედაა! აქ მოდი!.. ჩვენ აქა ვართ!

იოანნამ სწრაფლით მაღლა აიხედა... დახეთ იმის ბედნიერებას! ხეზე, რომელიც ამათ სახლთან იდგა, გადებული იყო კარები და ზედ ისხდენ ამისი შვილები ბარტყებივით.

— ჩემო სიხარულნო, ჩემო გვრიტებო, დაიყვირა იოანნამ და ავარდა ხეზე მათ გადასაკოცნათ და გულში ჩასაკრავათ

— მადლობა გამჩენს! გახარებული ამბობდა იოანნა.

ბავშვები სიხარულით იცინოდენ, ხმაურობდენ, ერთმანერთს არ აცლიდენ ლაპარაკს.

— ეს მე მოვიგონე, დედა, ჭეიოდა რუდი. ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდაპირველათ სხვა ხეზე ავედით, მერე ამაზე გადმოვედით: გვეშინოდა არ ჩამოვარდნილვიყავით და მე და გრეტამ ამოვათრიეთ ეს კარები და ამაზე გავიმართენით.

ხოლო ბინდისას მოცურდა მათთან საშველად ნავი, წაასხა ბავშვები და ბედნიერი დედა საშშვიდობოადგილას.

— ჩემი ქმარი სადღაა? გაუბედავათ ჰკითხა იოანნამ მენავეებს.

— ის წელის ჰირას ზის და თქვენ მოლოდინში ტირის

ტ. ვ.

(თარგმანი)

თევზების ცხოვრებიდან.

I. როგორ იცავს თევზი თავს მტრისაგან.

თევზებს მრავალი სხვა და სხვა საშუალება აქვთ თავის დასაცველათ: ამისათვის ზოგი ებრძვის მტერს თავისი ღონით, ზოგი ეშმაკობით, ზოგი შხამის შესხმით, რომელიც ადამიანისთვის ძალიან მავნებელია.



ამ შხამიან თევზებში უველაზე ცნობილია „ჰეტრეს“ თევზი. ეს თევზი ორნაირია: ერთი დიდია და მეორე ჰატარა. ორივეს აქვს გრძელი ეკლებით შემოსილი ტანი. როდესაც თევზი ჩამალულია სადმე—ეს ეკლები ტანზე მიკრული აქვს, თუ კი რამე მოხვდება, ან რამე შეანძრევს—მაშინათვე ეკლებს გამოიშვებს. ეკლები აიმართება და თევზის ტანი საშიშ შესედულობას იღებს. ეკლებს კიდევ ჯანი გავარდეს,—ამ თევზს უეკვარს ქვის ქვეშ წოლა, მხოლოთ იქიდან თავს გამოჰყოფს. თუ ვინმე იქ ამ დროს ბანაობს და უცაბედათ ფეხს დაადგამს, თევზი აიმართავს თავის ეკლებს, მობანავეს ეკლები შეესობა ხორცში და ამასთანავე ეკლით დაჩხვლეტილ იარაში თევზი შეასხამს შხამს, რომელიც ყოველ ეკლის ქვეშ მას ჰატარა ჰარკებით აქვს სავსე.

ამ გვარი თვისება ამ თევზებისა უწინდელ დროშიაც შეტეობილი ჰქონდათ ერთი მეთექვსმეტე საუკუნის მწერალი ბელონი მოგვითხრობს შემდეგს: ამ თევზის შხამი ძლიერ მავნებელია. დაშხამული ადგილი, რაც უნდა პატარა იყოს, სივდება და ანთება ემართება.

ამ თევზს უყვარს ქვიშა. ის იფლება ქვიშაში რაც შეუძლია ღრმად, თუ აპოათრევთ ქვიშიდან და მიანებებთ თავს — ისევ ძველ ადგილზე ბრუნდება. ის თავის ეკლებით ებრძვის არა მარტო თავის ძტრებს— ადამიანებს და დიდრონ თევზებს, არამედ ის ხმარობს თავის ეკლებს და შხამს, როდესაც გადის საზრდოს საშოვნელათ. ეს თევზი სჭამს არა მარტო ხამანწკვებს, პატარ-პატარა ჭიებს, ის თავს ესხმება თავისზე დიდ თევზებსაც. მეთევზეები, რომელნიც იჭერენ ამ თევზებს,—ძალიან გაფრთხილებული არიან, ეშინიანთ ეკალი არ მოხვდეთ ხელში, როგორც-კი დაიჭერენ ამ თევზს,—ცდილობენ გადუმტვრიონ ეკლები, მაგრამ ეს ძნელია და ხშირად ეკალი ესობა ხელში. მაშინვე ხელი სივდება, საშინელ ტკივილს გრძნობს ადამიანი, სიცხეს აძლევს და ტკივილი კარგა თორმეტ საათსაც გასტანს ხოლმე.

ხმელთაშუა ზღვის ნაპირის მცხოვრებლებმა იციან ამ თევზის შხამის ასაცილებელი წამალი.

—

II. მფრინავი თევზები.

Ითქოს თევზები ყველანი ერთნაირი არიანო, ერთმანერთს გვანანო და ამიტომაც შესაძლოა ადამიანმა იფიქროს, რომ თევზთა სამეფო ერთგვარია, მა-

გრამ ეს შეცდომაა, თევზთა სამეფო ძლიერ მდიდარია სხვა და სხვა გვარი თევზებით. თევზები ერთი მეორესაგან განირჩევიან შესხედულობით, განსხვავებული ცხოვრებით, სხვა და სხვა ჩვეულებებით ხშირად ამბობენ: „ცურაობს როგორც თევზიო", ეს იმას ნიშნავს, რომ თევზს ყველაფერზე უკეთესად ცურვა ეძარჯვება. მართალიც არის! მაგრამ ისეთ თევზებსაც შეხვდებით, რომელნიც ფრინავენ, — ასეთი არის „გრძელ ფხა" თევზი. ამ უცნაურ თევზს წინა ფხა გეგონებათ აფსკაა, რომელიც ისეთი დიდია, რომ მისი საშუალებით თევზები ადვილათ ფრინავენ. ეს თევზი ხოლმე გამოხტება წყლიდან, ახტება მაღლა ჰაერში და დიდი სიჩქარით მიფრინავს. ერთ, ორ საჟენზე გაფრინდება და ისევ ჩაეშვება წყალში, მერე ხელ ახლად ამოხტება, ავარდება მაღლა და ისე მიფრინავს; ზოგიერთი მოგზაურები ამბობენ, რომ ამ თევზს შეუძლიან ას და ას ორმოცდა ათ არშინზე გადაფრენა. ეს-კი გადამეტებითი ამბავია!

ეს თევზები ბევრნი ერთად ცხოვრობენ. ფრენის დროს რამოდენიმე ერთად მიფრინავს. ამბობენ ზოგჯერ ასი, ორასი და სამასიც-კი „გრძელ ფხა" ერთად ამოხტება წყლიდან და დაფრინავს უფრო მაშინ, როდესაც ზღვა ღელავს, აღშფოთებულია. თავდაპირველათ მოჰყვებიან აჩქარებით ფრენას, მერე ცოტ-ცოტა იკლებენ. ისეთი მაგალითიც იყო, რომ ამ თევზებმა გაასწრეს გემს, რომელიც საათში სამოცდა ათი ვერსის სიჩქარით მიდიოდა. მფრინავი თევზები ხშირად ეცემიან გემის ბანს, ეს უფრო მაშინ ხდება, რო-

Tiflis Pedagogical Society Library

დესაც ზღვა აღელვებულია ისეთ დროს-კი, როდესაც ზღვა წყნარი და დამშვიდებულია არ ეკარებიან გემს. საზოგადოთ დღითი ეს თევზი ერიდება გემს, ღამე-კი ეჯახება გემის ბანს და ანძას. ქარს ხოლმე შორს ძიაქვს ეს თევზები და მაღლა, მაღლა ზღვის სივრცეში მიაფრენს. ხმელთა-შუა ზღვაშიაც არის ერთ გვარი თევზი, რომელსაც ფრენა შეუძლია.

ძნელი ასახსნელია თევზი რატომ სტოვებს წყალს და რათ იწყებს ფრენას! ზოგი ერთი მეცნიერნი გვარწმუნებენ, რომ თევზი ამას იმიტომ შვრება, რომ თავი დაადწიოს დიდრონ მტაცებელ თევზებს: ქარი ელაჰიას და ან სხვას ვისმეს.

მაგრამ თუ ამითი შეუძლიანთ თავი აშორონ მტერს, სამაგიეროთ ჰაერში სხვა მტრები დაუხვდებათ, მაგალითად: ზღვის ფრინველი —ფოცხი და სხვა.

ეს ფრინველები მათ კარგ დღეს არ დააყენებენ.

აი როგორ აგვიწერს ერთი ბუნების მეტყველი ამ მფრინავი თევზის ცხოვრებას: „ეს ზღვის ძერცხლები უცდიან იმ დროს, როდესაც მათი მტრები არა ჩანან. მაშინ ისინი ამოსტებიან წყლიდან და მიფრინავენ რამოდენიმე მანძილზე. ასეთ მოგზაურობას მარტო არ იწყებენ, რამოდენიმე ასი ერთად მიფრინავს, ამათ ეშინიანთ მტაცებლების ხელში ჩავარდნა, თავიანთ სიცოცხლეს უფრთხილდებიან და ამიტომაც სტოვებენ თავიანთ მშობლიურ ბუნებას და ჰაერში შველას ეძებენ.

კაცი ადვილათ გაარჩევს, როდესაც ეს თევზები ღამე მიფრინავენ, რადგან ფრენის დროს ისინი ბრჭ-

ევიალებენ, ფოსფორის სინათლით გაჩაღებულნი არიან. როდესაც ზღვა დაწყნარებულია ისმის მათი ფრენის შრიალი, კიდევ რაღაც ხრიალი—ეს თევზის სუნთქვაა. მფრინავ თევზებს შეუძლიანთ დიდხანს იყვენ უწყლოთ.

ამ მოგზაურ თევზთა შორის არის ერთი თევზი „ანაბასი", რომელსაც შეხვდებით ინდო-ჩინეთში. ეს ნამდვილი მაწანწალა თევზია, ხშირად სტოვებს მდინარეებს და გაემგზავრება სასეირნოდ ბრინჯის პლანტაციებისაკენ, ეანებისკენ, ბაღებისკენ. ადვილათ ადის ხეებზე წმინდა ჰაერის ჩასაულაპპათ.

სერეგამბიაში არის ერთნაირი ხე, რომლის წვეროზე ხშირად ნახავთ ერთ გვარ თევზს, ის სტკბება ხოლმე მზის სხივებით.

ა. ფ.



მელა გუპილის საზარელი თავგადასავალი.

(მოთხრობა ლუი ჰერგოსი)

V.

ელამ არცა-კი სცადა მიმსვლარა ეო, რაში იეო საქმე; როგორც წელიდან ამოეგანილი თევზი ჰირდაპირ წელისკენ მიხტის ხოლმე, ისე ისიც შინა გრძნობამ ისარივით ჰირდაპირ მის სამშობლო ტეისკენ გააქანა; მაგრამ, — ვაი, უბედურებავ! მირონ ეჟვანი, საშინელი, ზარ-დამცემი ეჟვანი, უკან გამოსდგომოდა, მოსდევდა, ეწეოდა!

არა, ეს მოჩვენება არ იეო: გუპილს არ ელანდებოდა: მართლა მირონ ეჟვანის ხმა იეო ეს წკრიალა, ნაწუვეტ-ნაწუვეტი რაწკანი, რომელიც ცხადათ გაისმოდა ღამის სიჩუმეში; ჩვეულებრივათ მირონ ნადირის ხმირი და ხანგრძლივი ეეფით მისდევდა და მთელი ტეე ბანს ამლევდა ხოლმე მის ეეფას; ახლა ის ჩუმათ, ხმა-ამოუღებლათ ადევნებოდა გუპილს, და ეს საიდუმლოებით საკვსე, გაუგებარი გამოდევნება მით უფრო ამაშფოთებელი, მით უფრო გამგიჟებელი იეო; ძაღლი სკლ ახლოს უნდა ეოფილიეო. შესაძლებელი იეო ახლავე, აი, ამ წუთშივე მოევლო ჰირი მელასთვის, და გულ-გახეთქილი გუპილი ეოველ წამს ჰფიქრობდა: აი, ჩამესო, ეს არის, ტანში მირონ წვეტიანი კბილებიო; ძაღლის ფეხის ხმაც კი ესმოდა, მისი გაჩქარებული ქშენაც. .

ეს იყო სიჩქარეში გაჯიბრება, გამწარებული გაჯიბრება, რომელშიაც უფრო გამძლეს, უფრო თავ-გამეტებულს უნდა გაემარჯვნა; მანამდის-კი ეჟვანი სულ ერთსა და იმავე მანძილზე იყო: არც ეწეოდა, არც უკან რჩებოდა, და დაუღალავათ, დაჟინებით ფეხის-ფეხ მისდევდა გუბილს.

ბრძოლა თავ-განწირული, მაგრამ უთანასწორო იყო; ერთი მხრით ძაღლი, ღონიერი და შურის-ძიებით გაცეცხლებული, მეორე მხრით—მელა, თერთმეტი დღის ნამარხულევი, სიცხით და ტანჯვით დასუსტებული, რომელსაც მხოლოდ თავ-დაცვის უანგარიშო გრძნობა ამლევდა კიდევ უკანასკნელ გაუგებარ ძალას.

მან კიდევ უფრო აუჩქარა და ელვასავით გაჰქროლდა ღამის წყვდიადში; არაფერს უყურებდა, ვერაფერს გრძნობდა, ვერას სედავდა, მხოლოთ ეჟვნის ხმა ესმოდა და ყოველი ეჟვნის დარაწკუნება მათრახივით ხვდებოდა მის დაკუმებულ მხნეობას, უორკეცებდა ღონეს მის დაღალულ თათებს, ძალას უმატებდა მის დაქანცულ ტანს.

ტყის ჰირი ახლოს იყო ქვის დაბალი, დახავსებული, ალაგ-ალაგ ჩამონგრეული კედლით, ნასევრათ ამოვსებული გრძელი ორმოთი; ერთი ნასტომით მელა გადაეშვა ტყეში, დანგრეულ კედელს სწორეთ იმ ადგილას გადაევლო, სადაც დიდი ნახვრეტიდან კურდღლები გამოდიოდენ ხოლმე საძოვრათ ღამ-ღამე. შინა გრძნობის ფარულმა ძალამ ეს ადგილი იმ იმედით ამოარჩევინა, რომ შეიძლებოდა აქ ძაღლს მის-

თვის თავი დაენებებინა და რომელიმე კურდღელს გა-
მოსდგომოდა; მაგრამ არა, მირო დაჟინებით ისევ თა-
ვის მსხვერპლს მისდევდა და ეჟვანმა ისევ განაგრძო
ღამის წუვდიადში დაუღალავათ რაწკანი.

ხეივანი სადაც გუჰილი გადახტა, ზევით-ზევით მი-
დიოდა ვეებერთელა, ხშირი ხეებისაკენ, რომლებიც
უზარ-მაზარ კარვებსავით ამართულიყვენ. იმათ ერთ-
მანეთში გადახლართულ შტოებს შორის მაღლა ცაში
ვარსკვლავები თითო-თითო ინთებოდენ, შაშვები ათასს
სხვა და სხვა ნაირ ჭანგზე იწყებდენ დაბინდების გა-
ლობას და ურიცხვი, უთვალავი მსხვილი მწერები,
რომლებიც ეანებიდან ტეის ნორჩ კვირტებისკენ მიე-
შურებოდენ, ისე სმაურობდენ, როგორც ზღვის ზვირ-
თები, ხან გააფთრებული და ხან დაშოშმინებული.

მელა მიჭქროდა, მიჭქროდა გაგიჟებით, მიჭქროდა
თავ-დავიწყებით, ერთ ბილიკს სტოვებდა, მეორეს ირ-
ჩევდა, მერე მესამეში უხვევდა, ხშირი ტეიდან ამოჩე-
ხილში ეშვებოდა, იქიდან ძინდვრებისკენ მიექანებოდა.

ოოველგან, ოოველგან შეუბრალებელი ეჟვანი უკან
მისდევდა. მთვარე ამოვიდა. გუჰილი ისევ ამოჩეხილ
ტეეში გამობრუნდა; მერე ისევ ხშირი ხეებისაკენ გა-
ვარდა; იქ, დაბურულ ჩირგვებს შორის, ძან, როგორც
გაწვრთნილმა მეტეევემ, ლანდივით იცოდა გასრია-
ლება და იქ, იმედი ჭქონდა, ეკლების წეალობით თა-
ვის კვალს დააკარგვინებდა უწეალო მტერს; თითონ
მას ეკლები ტანში ესობოდენ, ჭკბენდენ, ჭგლეჯდენ,
მაგრამ ერთი წუთითაც-კი ვერ აფერხებდენ; ის ხან
მთლათ ჭქრებოდა ჩირგვებს ქვეშ, ხან შორს გამოხ-

ტებოდა ხოლმე სანათლეში, ისევ მიიმალებოდა, ისევ გამოჩნდებოდა...

ეოველგან, ეოველთვის, შეუჩერებლათ, შეუწუვეტლათ მის გვერდით ეჟვნის რაწკანი გაისმოდა, ვით საზარელი ხმა დაღუპვისა, დაუსრულებელი, გულ-საკლავი ხმა.

მის ფეს-ქვეშ ხან ხხვა და ხხვა ოთხფეხი გაძოვარდებოდა, ხან შეშინებული ფრინველები აფთქრიალდებოდენ ხოლმე; ეჟვნის ხმით მიზიდული რამდენიმე ბუ ჩუმი ფრენით მისდევდა გუპილს, მისი უცნაური სირბილით გაკვირვებული.

მელა ახლა მთლათ გაუვალ ჩირგვნარში შევარდა; ერთმა ეკლიანმა ტოტმა ერთ წუთს შეაჩერა; მელამ ის სწრაფათ გასწვიტა, ისევ გაჭრილდა... და ეჟვნის ხმა ვეღარ გაიგონა. იმედმა მკერდი უსაზღვრო სიხარულით გაუფართოვა, ახალი ძალა მისცა მის ძარღვებს, მის კვანთებს; ჭკვავდა, ბირობს მისი კვალი დაეკარგა, ვეღარ დაეწეოდა; ერთ ხანს მაინც სწორა, სულ ისარივით სწორა განაგრძო რბენა; ორას, სამას ნახტომამდე გაირბინა ამ სანეტარო სიჩუმეში; მერე, რომ საბოლოოთ დარწმუნებულიყო თავის მარტოობაში, თავის ხსნაში, უეცრათ შეჩერდა და უკან მოიხედა.

ჯერ თავი არცკი მოებრუნებინა, რომ ისევ გაისმა მის ახლოს ეჟვნის წკრიალა, ეჟვნის საზარელი რაწკანი, და ისევ ელვასავით გააქანა დამფრთხალი, გამწარებული გუპილი ტეის ხეებსა და ჩირგვებს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ღამე ირბინა. ბოლოს მისმა საწყალმა, გასივებულმა და მოცახცახე თათებმა მეტი ვეღარ შესძლეს; მაშინ მელა დაეცა, გაგორდა მიწაზე ერთი ნაკადულის პირას, გაგორდა უგრძნობლათ, ნახევრათ მკვდარი, გაგორდა ისე, რომ იქით-აქეთაც-კი არ გაუსედავს, არც-კი წამოუკვნესია.

და იმავ წამს ეჟვნის ხმა შესწყდა.

(შემდეგი იქნება)

თარგ. ელ. დემოლინ-წერეთლისა.

შეცდომის გასწორება.

„მელა გუპილის საზარელ თავგადასავალ“-ში, აპრილის ნომერში, მე-214 გვერდზე დაბეჭდილია: „უკან კლდე იეო, ზევით კლდე იეო, კლდე იეო აგრეთვე მარჯვნით“. უნდა იეოს: „უკან კლდე იეო, ზევით კლდე იეო, კლდე იეო აგრეთვე მარჯვნით და მარცხნით“.

მაიმუნის ეშმაკობა.

(ფრანგულიდან).

ერთმა ძალიან მდიდარმა და ძალიან კრიჟანგმა კაცმა იყიდა მაიმუნი იმ იმედით, რომ თავის ოქროების მცველად გამოადგებოდა.

ეს კაცი ერთხელ იძულებული გახდა რაღაც საქმეზე სხვაგან წასულიყო და მაიმუნი დაეტოვებინა სახლში. მაიმუნი მივიდა ფანჯარასთან და დაინახა როგორ ერთმა მეზობელმა ფანჯრიდან გადუგდო მათხოვარს ფული. მაიმუნს ხომ იცით, რომ უყვარს ყველაფერში მიბაძვა, ახლაც გაიგცა საჩქაროთ, გამოიტანა თავის ბატონის სალაროდან ერთი მუჭა ოქრო-ვერცხლი და დაიწყო ქუჩაში გადაყრა

მთელი უბნის მათხოვრები ერთ წამს შეიკრიბენ ფანჯარასთან და ჯიბეები გაივსეს ოქრო-ვერცხლით.

ამ დროს კრიჟანგმა კაცმა ამათ მოასწრო. როგორც-კი დაინახა რაში იყო საქმე ჯავრით გაწარხლდა და ორივე მუშტი მოუღერა მაიმუნს:

,,აი შე დაწყევლილო, დასაწვავი ხარ! შეჰყვირა მან.

მერე გააფთრებული მოჰყვა თმების გლეჯას.

,,ვაიმე ჩემო ოქროებო, ჩემი წვითა და დაგვით

ნაშოვნო ოქროებო! და გამწარებული მოუახლოვდა თავის სახლს.

„დამშვიდდი, დაწყნარდი, ჩემო მეგობარო, უთხრა მისმა მეზობელმა,—რასაკვირველია სისულელეა ფულის გადაყრა ფანჯრიდან ისე, როგორც მაიმუნმა გადაყარა, მაგრამ არც ის არის დიდი ჭკუა, რომ ფულს ინახამ ცხრა კლიტულში. მითი არც შენ სარგებლობ და არც სხვას ასარგებლებ. რად დასტირი იმ ოქროებს, რომელსაც შენ არ აპირებდი მოგეხმარებინა? ჩააწყე ქვები ოქროს მაგიერ და გეგონოს ვითომ ოქროა, სულ ერთი არ არი შენთვის!“

ტასო.

ია.



ვავილი ვარ
ულრან ტყისა,
შვილი ახალ
სიცოცხლისა...
თმას მივარცხნის
სიო მთისა
და პირსა მბანს
ცვარი ცისა...

ღმერთს ჩვენთვის შვენება და სილამაზე კარგი მოუცია, მაგრამ დიდი ხნის სიცოცხლე-კი არ გაუმეტნია... და განა მარტო ჩვენა ვნატრობთ ამას?... ყველანი, ყველანი... სხვებს ჩვენზე ძლიერ უხარიანთ ჩვენი ამოსვლა... თუ ჩემი არა გჯერათ ჰკითხეთ ჩემი სილამაზით მოხიბლულ დობილებს თუ ნიშნად დასტურისა თავი არ დაგიკრიან... ყველას მოვწონვარ, უყვარვარ: ტყეს, ბალახს, არყსა და წიფელს; გულ-ხავსიანი კლდეც-კი ცრემლებით მემშვიდობება ხოლმე,.. სტყუიან ვინც ამტკიცებენ: კლდე გულ-ქვა და უგრძნობელიაო... ბარად გაშლილ მინდვრიდან შავ-თვალა და ლოყა წითელი ყაყაჩოები ალერსიანათ მიცინიან, თვალები ყოველთვის ჩემსკენა რჩებათ.. მათი შემყურე, მეც სიამოვნების მადლით მილაღის ნორჩი გული, ყელამდის სიხარულით ვივსები... არშიყი ნიავი ხომ მოსვენებას არ მაძლევს... გაგიჟებით უყვარვარ, რაღაც იდუმალების გაურკვეველი ტიტინით მეჩურჩულება, მეხვევა, მკოცნის და უცხო ზღაპრებს მიამბობს ნეტარ სიცოცხლეზე, ციურ სიყვარულზე... მეც ვისმენ, ვისმენ და ვსტკბები თავ-დავიწყების ბედნიერებით... ხანდისხან ამომიჯდება ხოლმე გუ-

ლი, თვალებზე სიხარულის ცრემლები მერევა და ვტირი. ჩემ-თვის ჩუმათ... ყუჩათ...

ახ, რატომ დღე-გრძელი არა ვარ მე საცოდავი... ბერე რა რიგათ მწყურიან მე საწყალსა და! ნეტავი გამაგებინა მა-ინც ჩვენ შემდეგ რა ხდება, რა ფერისაა ქვეყანა...

***

სისხამ დილაზე ჩემს მახლობლად ერთი ლამაზი ღაბუა ჩიორა მოფრინდა და რაღაც არა ჩვეულებრივი სიმღერა მი-გალობა... ნეტავი კი არასოდეს არ მსმენოდა მე ის ხმა... საშინელი სულის ობლობა და დღე მოკლეობა მაგრძნობინა... ის ფრინველი ჩემი სიკვდილის წინამორბედი იყო... მე მთელი ტანით ავკანკალდი, შიშის ჟრუანტელმა ამიტანა... სიცოცხ-ლის ნიშან-წყალი მეკარგებოდა... თვალებიდან გადმონადენი ცრემლები წვეთ-წვეთად დაგორდნენ ფერ-მკრთალ ფურც-ლებზე.

სიკვდილის ჟამმა გიწია
იავ-მოსულო ობლათა,
გამოეთხოვე ულრან ტყეს
ნულარ იგულებ მშობლათა—

ვიმეორებდი ფრინველის ნამღერს და ვქვითინებდი, ვტიროდი...

შენ დაგიტირებს პირი-მზე
მთა-კლდის დობილი ქალია,
მე კი ვინ იცის საბრალოს
სად დამეხუჭვის თვალია;
ან ზამთრის ყინვა გამთოშავს,
ან და გალია ჩიტისა,
შენ ცრემლი დაგედინება
ლრუბლის ცვარ-მარგალიტისა,
მე კი სახვრელი გავხდები
შავ-მიწის ჭია-ლუისა
თორემ, სიკვდილმა გაგვსაჯოს
ვინც, რომ ჩვენ შორის ტყუისა—

დაათავა მეორე ფრინველმა და ანაზდეული ჭიკჭიკით აფ-რინდა შორს... შორს, დაუსრულებელ ცის სივრცეში.

გ. ქუჩიშვილი.

პეერი და ულფი.

ნორვეგიის მიურუებულ მთებში.

III.

(დასასრული).

ერთხელ, თიბათვეში, ბებერმა პეერმა დაიგულა კლდიან ნაპრალებში მშვენიერი ბუჩქი კარგი და ნოყიერი ბალახისა და მამა და შვილი დილა ადრიანათ ალიონზე ადგენ, ნამგლები და თოკები წაიღეს და წავიდენ. ცვარი ისევ ისე იყო ბალახზე და მთა და ველი ნისლით იყო მოცული. ყმაწვილმა მარჯვეთ შემოიკრა თოკი წელზე, მიიმაგრა ფართო ქამარზე და ის იყო უნდა ჩაშვებულიყო ხრამში, რომ უეცრათ იქიდან მოესმა საშინელი ხმაურობა, თითქოს ძირს ვიღაც საზარლათ ყვიროდა.

— უსათუოდ არწივები ჩხავიან! სთქვა მამამ,—იქ ჩასვლა ალარ შეიძლება, საშიშია.

— მამავ, მე მესმის ადამიანის ხმა, შეჰყვირა შვილმა,— ხედავ, ისინი უსათუოდ ბალღს მოიტაცებდენ.

ამ დროს მოისმა საშინელი შემაძრწუნებელი კივილი, თითქოს სიკვდილის პირამდის მიღწეული კაცი გაჰკიოდა.

— მალე, მამავ, მალე, ჩამიშვი, თოკიც გააგრძელე...

— არა, შვილო, ეგ კაცი კი არა ყვირის—მთის ავი სულები არიან, იტყუებენ ადამიანებს. თუ ჩახვალ—ველარ ამოხვალ, მოგკლამენ, ნუ ჩახვალ, გემუდარები...

— თუ თოკს არ დამიჭერ, მაშინ მე თვითონ ჩავეშვები. ყმაწვილი ერთ წამს მამისაგან განთავისუფლდა, თოკი მიაბა იქვე მსხვილ ხეს და ფრთხილათ იწყო ხრამში ჩასვლა.

— პეერ, ჩემო ძვირფასო, უყვიროდა ზემოდამ მამა,— პეერ, ჩემო შვილო, დაბრუნდი უკან.

მაგრამ პეერი კლდის კედელ-კედელ გამალებული მიცოცავდა. ძირს, პატარა მოედანზე, ისეთი საშიშარი რამ წარმოუდგა რომ განცვიფრდა, მთლად გაშეშდა. ორი უზარმაზარი არწივი, რომლებსაც ბუდე იქვე ახლოს ჰქონდათ ჰკორტნიდენ მწოლარე ყმაწვილს, ის მოკუზული იყო ერთი მუშტის ოდე-

ნათ, ცდილობდა პირის სახე დაეფარა, თანაც რაც ძალი ჰქონდა ჩასჭიდებოდა კლდის ნაპრალზე მდგომ წიფლის ხის ტოტებს. არწივნი ჰგლეჯდენ და არ ზოგავდენ ყმაწვილს. პეერმა მოართო საშინელი ყვირილი, რომ მითი დაეფრთხო მტაცებელი ფრინველები და თან ნამგალს აქეთ იქით იქნევდა. მაგრამ ამითი ეტყობოდა რომ ვერას გააწყობდა.

უცბათ თვალი მოჰკრა, რომ არწივის ბუდე დანგრეული იყო; ერთი ბარტყი იქვე ახლოს ეგდო, მეორე-კი გაკვეტებულიყო ჩინჩხვრებში, მაშინ პეერი მიხვდა, რომ იმ უბედურს, რომელიც გაშმაგებულ ფრინველების ხელთ იყო, სდომებია არწივის ბარტყების მოპარვა, უსათუოდ იმ დროს, როდესაც მშობლები იქ არ ყოფილან, მაგრამ მშობლები უეცრად წამოსწრებიან.

თუმცა პეერი მამაცი ბავშვი იყო, მაგრამ როდესაც მან დაინახა, რომ ნისკარტი და ბრჭყალები უზარმაზარ ფრინველებისა შეღებილი ივო სისხლით, გული შეეღონდა. ფრინველები შემზარავ და შეუწყვეტელ ყვირილით ეცემოდენ უძრავათ მდებარე ყმაწვილს, გლეჯდენ მას. უსათუოდ ის დიდხანს ვერ გაუძლებდა; მისი ტანისამოსი ნაკუწ-ნაკუწათ იყო ქცეული და სისხლი ჩქებდა ჭრილობებიდან.

— გამაგრდი! არ დანებდე! — ხმა მაღლა შეჰყვირა პეერმა, — მე მოგეშველები.

ნამგლის მარჯვე მოქნევით, მან მკერდში მძიმეთ დასჭრა ერთი არწივი. მეფე-ფრინველი შეფრთხიალდა, ფრთა ფრთას შემოჰკრა, ორჯერ-სამჯერ ჰაერში შეტრიალდა და საზარელი ხრინწიანი კივილით უფსკრულში ჩაეშვა. მაშინ მწოლარე ყმაწვილმა ფრთხილად წამოიწია, თავის მხსნელისაკენ პირი მიიბრუნა და პეერმა დაინახა თავის მტრის პირისახე — ულფი ფანნივოლდისა.

პეერი ერთ წამს გაშეშდა, გაქვავდა ულფის დანახვაზე. პირველათ გაიფიქრა ენიშნებინა მამისთვის, რომ მას თოკი აეწია. ამას გაახსენდა ულფისადმი სიძულვილი და მისგან შეურაცხყოფილი ის გრძნობა, რომელიც აქამდისინ მის სულის სიღრმეში იმალებოდა. ეხლა ახალი ძალით იფეთქა და აღავსო მისი გული წყრომით.

ამ დროს დედალი არწივი, რომელიც მიმალულიყო

კლდის უკან, მოულოდნელათ მივარდა ბუდის გამანადგურებელს და შეაფრინდა პირის სახეზე. ეს ისე უცბათ მოხდა, რომ ულფმა პირისახის ხელებით დაფარვაც-კი ვერ მოასწრო, მან მხოლოდ დაიყვირა, და ყვირილი მისი ისე შემაძრწუნებელი იყო, რომ ვისაც-კი ქვის გული ჰქონდა, ისიც-კი მოლბებოდა. პეერი თანამგრძნობი და ჩვილი გულისა იყო, ის გრძნობდა, რომ არ შეიძლება ყმაწვილის დატოვება ამ მდგომარეობაში, სულ ერთია ვინც უნდა ყოფილიყო—მტერი თუ მეგობარი. პეერმა აიღო ნამგალი, მიიზიდა თავისთან წიფლის ხის ტოტები და ორი ნაბიჯი გადადგა წინ არწივის ბუდისკენ. დედალმა არწივმა რაკი ნახა ახალი მტერი, რომელიც მოდის მისი ბუდის დასანგრევათ, შემოტრიალდა მისკენ და გააფთრებული ეტაკა მას. ის სცემდა თავისი ძლიერი ფრთებით და კორტნიდა თავისი ბასრი ნისკარტით. პეერი რომ წიფელას მაგრა არ ჩასჭიდებოდა და თავი არ შეემაგრებინა, აუცილებლივ გადავარდებოდა უფსკრულში, და მაშინ უფრო საშინელ ბრძოლას აუტეხდა თოკით ჩაკიდებულ ბავშვს. პეერი გრძნობდა რა საფრთხეც მოელოდა, ამიტომ ხელიდან არ უშვებდა წიფელას ტოტს და მარჯვეთ ებჯინებოდა კლდის კედელს. თან ნამგლით იგერებდა არწივის თავდაცემას; მაშინ ფრინველმა მის ფეხებს დაუწყო ნისკარტით კორტნა; მისი ტანისამოსი დაიფლითა და ის გრძნობდა, როგორ სისხლი ნაკადულივით გადმოსდიოდა.

არწივსა და ბავშვს შორის ბრძოლა გაგრძელდა კაი თუთხმეტი წუთი. ამ დროს პეერმა ზემოდამ გაიგონა მამის სასოწარკვეთილებით სავსე ხმა.

— დამაცა ცოტა,— შეჰყვირა ბავშვმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

იმავ წუთში არწივმა ღრმათ ჩაჰკორტნა პეერი იმ ხელზე, რომელიც ხეზე ჰქონდა მოხვეული. ყმაწვილმაც ელვასავით სისწრაფით მოუქნია ნამგალი და პირდაპირ შიგ გულში ჩაასო. უზარ-მაზარ ფრინველმა ერთი საზარლათ დასჩხავლა, გადატრიალდა ჰაერში და ჩავარდა უფსკრულში.

პეერი მტრისაგან რომ განთავისუფლდა, გასისხლიანებული ბურტყლი მოიშორა და სიფრთხილით თავის მოპირდაპირესთან მიცოცდა. ის ისევ ისე პირქვე დამხობილი იწვა. დი-

დი სიფრთხილით შეეხო მის მხარს, ულფმა ერთი ამოიკვნესა, მაგრამ არ განძრეულა. ჰეერი ხელ-მეორეთ შეეხო მას, მაგრამ ულფმა ხელები მიიფარა პირისახეზე და ისევ ამოიკვნესა.

— ნუ გეშინიან, ულფ! — წარმოსთქვა ჰეერმა. — მე არას დაგიშავებ.

ულფი თრთოდა, როგორც ვერხვის ფოთოლი. მან შეხედა ჰეერს. ამას გული აევსო სიბრალულით და თანაც შიშით; პირი მიიბრუნა და ხმა მაღლა დაიწყო ტირილი. არწივს მარჯვენა თვალი ამოეჭამა ულფისთვის, და მის ადგილას მოჩანდა სისხლით სავსე ადგილი. ჰეერმა მალე მიიკრიფა ძალა, შემოიძრო ტყავის სარტყელი, შემოარტყა ულფს, და ანიშნა მამას აეწია თოკი. ნელა-ნელა ადიოდა ულფსკრულიდან ზევით მისი მტერი, და აი მალე მიაღწია კიდეც ხრამის ზევითა ნაპირს. მაშინ მას მოესმა მამის ხმა მაღლივი ყვირილი, გულის-წყრომით და სასოწარკვეთილებით სავსე. ჰეერი გულის ფანცქალით უგდებდა ყურს ყოველივე მას, რაც ზევით ხდებოდა. ეშინოდა, რომ მამას გულ-მოსულობის დროს, არ გადმოესროლა ძირს საზიზღარი ბავშვი. — მაგრამ გავიდა რამდენიმე ხანი და ხმაურობა შეწყდა.

მაშინ ჰეერი დამშვიდდა და მიაქცია ყურადღება თავის თავს. ფეხის ჭრილობა საძრძნობლათ ტკიოდა, ფეხთსაცმელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლით ჰქონდა სავსე. პეერმა იგრძნო, რომ თავბრუ ესხმოდა და ჭრილობა საჩქაროთ უნდა შეეხვია. დანგრეული ბუდიდან საძაგელი მყრალი სუნი მოდიოდა და გული ერევოდა; მაგრამ მოედანი ისე პატარა იყო, რომ ბუდეს ვერ მოსცილდებოდა. შიგ ბუდეში იჯდა არწივის პარტყი.

პეერმა ნამგლით მოჰკლა ბარტყი, რომ უჭმელობის გამო სიკვდილს არ გაეწვალებინა. ყმაწვილმა ძლივს მოასწრო თავისი ჭრილობა შეეხვია, ისე ულბათ იგრძნო საშინელი სასუსტე; თვალები დაუბნელდა. იგრძნო, რომ ზევიდან ჩამოუშვეს თოკი, ტყავის სარტყლით; მაგრამ არ შესწევდა იმდენი ძალა, რომ წამომდგარიყო და ხელი მოეკიდნა. მის თვალწინ ხელახლათ გაიელვა მეორე თოკმა და ჰაერში რაღაც ახმაურდა, თითქოს დიდრონი ფრინველები აშრიალებდენ თავიანთ ფრთებს. შემდეგ პეერმა მთლად დაკარგა გრძნობა; ის ახლა თითქოს შესცურდა რაღაც ბრწყინავ სივრცეში, საიდანაც მოისმოდენ იდუმალი ხმები. მას მოეჩვენა რომ ეს სიზმარი დიდხანს გაგრძელდა. როდესაც გონს მოვიდა, — დაინახა მამა, რომელიც თავს ადგა და ტყავის სარტყელს არტყამდა წელზე. მერე იგრძნო, რომ ზევით იწევს, მიეკრინავს სულ მაღლა-მაღლა, და, ბოლოს, ის დაეშვა სადღაც ბალახზე და ქალი, რომელიც მის დედას ჰგავდა, ეკვეოდა და კოცნიდა, ამავე დროს ცხელი ცრემლები ეცემოდენ მის პირისახეს. ათი წამის შემდეგ მას შეეძლო გაერჩია მამა და ორი უცნობი გლეხი, რომელნიც მის ახლო დაფათურობდენ; მხოლოდ ულფი-კი არ სჩანდა.

გავიდა სამი კვირა ამ საშიშარ შემთხვევის შემდეგ. პეერი უკვე გამომრთელდა, ჭრილობები დაუამდა და ერთხელ საღამოს გაისეირნა მინდვრისკენ. ასეთმა სეირნობამ განსაკუთრებული სიამოვნება მოჰგვარა მას. ის მიუახლოვდა ტყეს, ამ დროს ტყიდან გამოვიდა ულფი თვალ აკრული. ის აჩქარებით მიუახლოვდა პეერს, გაუშვირა ხელი და უთხრა.

— გამიგონე, პეერ, მე ვიცი რომ დანაშაული ვარ შენ წინ. ამას იქით აღარ შეგიშლი ხელს. ცალ-თვალა კაცს არ შეუძლიან იყვეს გარეული ბალახის მთიბავი! მაგრამ მე არაფრად მივიჩნევ მეორე თვალის დაკარგვასაც თუ შესაძლებელი იქნება დავივიწყო, რომ შენ გადამარჩინე სიკვდილს, როდესაც მე ვცდილობდი შენ დაღუპვას.

ი. ჭავჭავაძე.

ბიჭიას ნაამბობი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგომა შორს არ არის!..

ალიან მხიარულათ გავატარეთ ყველიერი. ვიმ-ხიარულეთ, ვილხინეთ, ვითამაშეთ... შაქრო უგ-რეხელიძეც გამოკეთდა და ესეც ჩვენთან თამა-შობაში იღებდა მონაწილეობას, მაგრამ ისე მხია-რულათ აღარა, როგორც წინეთ—ეტყობოდა იმ შემთხვევას თავისი კვალი დაემჩნია... დღეს პირველი დღეა დიდ-მარხვის „ნამცეცაობის“ დღეა... ტყე და მინდორი მწვა-ნეთ შეიმოსა... წვიმამ და სითბომ ფერ-მიხდილ იას თავისი უკვდაების ძალა ჩაჰბერა, იმისმა სუნმა დაატკბო არე-მარე... იასამანმა და ნარგიზმაც ტურფად გარდიხსნეს გული და წყალში შესტრფიან თავისვე სახეს; ვარდმაც გადიღელა მკე-რდი და გული, ნაზ-მომხიბლავმა სოსანმაც თავი მაღლა აი-ღო... ნაკადულიც სიმღერით მორბის და სხვა და სვხა ფე-რად მოსჩანს... დილის სიგრილემ დაჰკრა მაშვრალ ქვეყანას, ბედნიერების ფრთა გადუშალა და მშვიდობისა და სიყვარუ-ლის სალამი მისცა... ყველგან მოსჩანს ბუნების სიმდიდრე, მშვენიერება, სიხარული, მხოლოთ ადამიანი არღვევს ამ გარ-მონიას, რალაცნაირათ მოღრუბლულია იგი, რალაც სულის კვეთებას მისცემია, რალაც ბრძოლაა გაჩაღებული მის გულ-ში. ჩვენც დღეს რალაც ცუდ გუნებაზე ვართ: თამაშობის ხალისიც დაგვეკარგა და ცალ-ცალკე დავდივართ, თითქო ერთმანეთს ვემდუროდეთ, ერთ-მანეთზე გული აგვეყაროს... მხოლოთ პაწაწინა მოწაფეები არღვევენ ამ სიჩუმეს და ბუ-ნებას უერთებენ თავიანთ ხმას... აქა-იქა საყდარშიაც ისმის ზარის ხმა... ხმა წყნარი, ნელი, სამგლოვიარო... ჩვენი მღვდე-ლი და ჩვენი უფროსი ბალკონზედა დგანან და რალაც დიდ კამათში არიან, რალაზედაც ებრძვიან ერთმანეთს; მღვდელი ცხარობს, ხელებს იქნევს, ჩვენი ლევანიკი წყნარათ ებაასება და ხანდახან ჩვენკენაც იხედება... მალე სულ მთლათ აჭარ-ხლებული მღვდელი მოშორდა ლევანს და ხმა-მაღლა წაჰ-ყვირა: ეს ულმერთობაა, ურწმუნოება... მე ამას ვერ მოვით-მენ, ამას ყველაფერს მთავრობას შევატყობინებო“.

— წადით და ისა ჰქენით რაც გნებავდეთ და მე-კი ჩემს წმინდა სინიდისს და ჩემს პედაგოგიურ რწმენას ვერ უღალატებო! ცოტა არა აღელვებით წასძახა ლევანმა მღვდელს... გაბრაზებულმა მღვდელმა ახლო ჩამოგვიარა და ჩვენს სალამზე პასუხი არ მოგვცა. ამ გარემოებამ ძალიან გაგვაკვირვა. არ ვიცოდით: რა მოხდა, თუმცა-კი გულით გვინდოდა შეგვეტყო ყველაფერი... მასწავლებლებს ყველას ერთათ თავი მოეყარათ უფროსის სახლში და ბევრხანს არავინ გამოდიოდა იქიდან... ერთი ორი საათის შემდეგ ჩვენი მასწავლებელი გამოვიდა გარეთ და აღელვებულმა მაღლიდან გადმოგვძახა — უფროსი მოწაფეები შეიკრიფენით ერთად და საყდარში წასასვლელათ მოემზადენითო... ჩვენ დაუყონებლივ შევასრულეთ მასწავლებლის განკარგულება: შევიკრიფენით და საყდარში მოვემზადეთ წასასვლელათ.. მალე მასწავლებელიც ჩამოვიდა, აგვათვალ-ჩაგვათვალიერა, გადიყარა შუბლიდან ღრუბელი და დაწყნარებული ხმით გვითხრა:—ბავშვებო! თქვენ ხომ იცით, რომ დღეიდან დიდ-მარხვა დაიწყო... ჩვენ მღვდელს უნდა, რომ თქვენ გაზიარდეთ და ზიარების მისაღებათ საჭიროა საყდარში სიარული... დიდები ივლით ეკკლესიაში, პატარეები-კი აქ დარჩებიან და როცა ეგენიც წამოიზრდებიან — ეგენიც ეზიარებიან... ზეგ-კი ყველა თქვენ, უფროსი მოწაფეები, საღამოს ლოცვის შემდეგ, წამოხვალთ ქალაქის დიდ დარბაზში და იქ მოისმენთ თქვენი უფროსის სიტყვას, ლექციას, და იმედი მაქვს ყურადღებით მოისმენთ და ყველა მის ნათქვამს ცხოვრებაში გამოიყენებთ... თქვა ეს, გაგვიძღვა და წაგვასხა საყდარში სალოცავათ.

უფროსი მოწაფეები ყოველ დღე დავდიოდით საყდარში — დილითა და საღამოთი... მღვდელმა გვითხრა — ვისაც „მრწამსი“ და „ზიარების ლოცვა“ არ ეცოდინება ზეპირათ აღსარების დროს, წმინდა საიდუმლოზე არ მიუშვებო... ჩვენც ვიზეპირებთ ამ ლოცვებს, სხაპა-სხუპითა ვსწავლობთ, თუმცა-კი ბევრი რამ გაუგებარი რჩება ჩვენთვის... მაინც და მაინც ვსწავლობთ, ვზეპირობთ, ზოგი მოწაფე საყდარშიაც-კი იმეორებს ამ ლოცვებს... ცოტა დრო-ღა დარჩა აღსარებამდის... დღეს ოთხშაბათია, ხვალ არა და ზეგ-კი იქნება აღსარების დღე... სხვისა არ ვიცი და მე-კი მოუსვენრობასა ვგრძნობ ამ აღსა-

რების მოგონებაში: არ ვიცი რა ცოდოები უნდა გაუზიარო მღვდელს... არ ვიცი ვისთვის რა დამიშავებია და, თუ დამიშავებია რამე, ესეც არ მესმის მღვდელმა როგორ უნდა მაპატიოს... არც მღვდლისთვის დამიშავებია—გაკვეთილები თუმცა ძნელი ყოფილა, მაგრამ მისწავლია, ლოცვებიც გამიზეპირებია... ამ საგონებელში ვიყავი, როდესაც ამხანაგებმა წრე გააკეთეს და ერთმანეთს დაუწყეს კითხვა-გამოკითხვა:—აბა, ბიჭო, შენ რას ეტყვი მღვდელს... აბა ვის რა ცოდოები გაქვთ... მახარაძემ პალტო ჩამოიფარა, მღედლობა იდვა თავზედ და დაიწყო აღსარების რეპეტიცია... ყველა ჩვენგანს თავი უნდა შეგვეყო პალტოს ქვეშ და მახარაძის კითხვებზედ მიგვეგო... ეს თამაშობა მეც ძალიან მომეწონა და რაც რამ ვიცოდა ყველაფერი მოვახსენე ამ ჩვენ ახლათ მოვლენილ მოძღვარს... ჩვენს სიცილ-ხარხარს არ ექნებოდა დასასრული, რომ ზარის ხმა არ მოგვსმენოდა საყდრიდან და ჩვენი მოვალეობა არ მოეგონებინა.

ჩვენი უფროსის ლექცია.

დღეს ბუნება როგორღაც შეჭმუხვნილია—ცოტა რამ მიზეზი უნდა, რომ ცა ნამებით დაიცაროს: ღრუბლები არეულია და შორიდან მოისმის გრგვინვა, ჭექა-ქუხილი... ჩვენ მაშინათვე ქვებს დავწვდით, დავირტყით ზურგსა და მუცელზედ და ჩვეულებრივი სიტყვები წამოვიძახეთ: „ზურგი მაგარი, მუცელი მაძღარი“, თუმცა ამ სიტყვების მნიშვნელობა არ გვესმოდა, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, „ჩვეულება სჯულზედ უმტკიცესიაო“, ჩვენც დავემორჩილეთ ამ ჩვეულებას და ძალიან ხალისიანათაც დავემორჩილეთ... წამოვიდა ჟუჟუნა წვიმა, ჩვენ ყველამ სამრეკლოს შევაფარეთ თავი და ველოდით წვიმის გადაღებას... ბევრი ხანიც არ მოგვიხდა ცდა—მალე ქარმა მიფანტ-მოფინტა ღრუბლები და გაკრიალებულ ცაზედ მზის სხივებმა შეითამაშა... ნელა-ღა წინწკლავდა და ეს სხივები ერეოდა ამ წინწკლებში და მზე პირს იბანდა... ცის ტატანზე გამოჩნდა მრავალ-ფეროვანი ცისარტყელა და მისმა მშვენიერებამ ჩვენ გული გაგვინათლა და ბუნება უფრო ძლიერათ გააკეკლუცა... ჩვენ ცქერათ გადავიქეცით, ვბაასობდით

და ზედი-ზედ კითხვებს ვაყრიდით მასწავლებელს ამ ბუნების შესანიშნავ მოვლენაზედ და ცოდნას—ცოდნას უმატებდით... ამ დროს საჩქაროთ ჩვენმა ვასილ პეტროვიჩმა მოირბინა და დაპირებისამებრ წაგვასხა შუა ქალაქში, სადაც ჩვენი უფროსის სიტყვა უნდა მოგვესმინა.

ასე 8 საათი იქნებოდა, როდესაც შევედით თვალ-უწვდენ დარბაზში და ყველანი დანიშნულ ადგილებზედ ჩამოვწკრივდით... დიდძალი ხალხი ატყდებოდა ამ დარბაზს და იმსებოდა ეს უშველებელი დარბაზი... შუა ადგილები უფრო ქალებს დაეჭირათ, უკან და აქეთ-იქით კუთხეებში კაცები დამსხდარიყვნენ... მღვდლებიც ბლომათ მოსულიყვნენ... ჩვენ მღვდელსაც მოვკარი თვალი... ეს სულ წინ იდგა და ვილასაც გაცხარებით ელაპარაკებოდა... მალე გაისმა პაწაწინა ზარის წკარუნი და ყველაფერ ისე სული გაიკმიდა—თითქო დარბაზში არავინ ჰრისო... დაიკრა მეორეთაც ზარი, აიხადა ფარდა და ამაღლებულ ადგილას გამოჩნდა ჩვენი უფროსი ახალ ტანისამოსში გამოწყობილი... გაისმა ტაშის გრიალი მის დანახვაზედ და ჩვენც ამ ხმაურობით გათამამებულებმა კვებულა მოზვრებივით დავიწყეთ ხტუნვა და ფეხების ბრახა-ბრუხი... უფროსმა ყველას სალიმი მისცა, ცოტაოდენი წყალი მოსვა და დაიწყო ლაპარაკი ჯერ ნელა, წყნარათ, თითქო თავის ხმას უფრთხილდებაო და მალე აუმაღლდა ხმა, სული ჩაუდგა თავის სიტყვებს და დაწვა და დადაგა მისმა სიტყვებმა ყველა იქ მყოფი ხალხი... თითქმის ყველა სიტყვაზედ ტაშის გრიალი და „ვაშას“ ძახილი ისმოდა... მე ვერ გადმოგცემთ ყველა იმას, რაც იქ მოხდა, ვერ გადმოგცემთ იმას, რაზედაც იგი ლაპარაკობდა, რადგანაც მეშინიან თქვენთვის გაუგებარი არა დარჩეს-რა და მეც ვაი თუ ვერ მოვახერხო ამ „საგოგმანო“ სიტყვების გადმოცემა; თქვენ იქ უნდა ყოფილიყავით, რომ გეგრძნოთ ყველა ის, რასაც გრძნობდა იმ წუთში ჩვენი დიდებული უფროსი... მისი ხმა—ნაზი ბულბულის სტვენათ გაისმოდა, მისი სიტყვა ელექტრონივით უღუტუნებდა მსმენელის გულს, ლახვარივით ესობოდა და ხანდახან მალამოთაც ეწებებოდა მას... მისი სიტყვა-ძლიერება იყო და უფრო ძლიერი და მადლიანი, როდესაც იქ მყოფ დედებს თავისი პაწაწკინტელა თვალები გადაავლო და ეს სიტყვები გააგონა მათ:

თქვენ ნუ იკმარებთ მარტოკა თქვენი შვილების ხელ-მძღვანელობას აღზრდა სწავლაში: თქვენი მოქმედებით ასპარეზი უფრო გააფართოეთ, თქვენს ბავშვებს დაუახლოვეთ თქვენი სოფლის გოგო-ბიჭები და თქვენ შვილთან ერთათ ამათაც უხელმძღვანელეთ სწავლა-აღზრდაში და გამოიყვანეთ ესენიც სიბნელეთიდან. მაშინ თქვენი გზა იქნება ჭეშმარიტი გზა, გზა ნათელისაკენ და ნუ გადაუხვევთ ამ დალოცვილ გზას, ნუ შეგაშინებთ ცხოვრების ქარიშხალი, „შავი ყორანი“ ნუ დაისადგურებს თქვენს საიმედო გულში. ცხოვრება არ მოგაკლებთ თქვენ კრულვა-წყევლას, შურს, დაცინვას, მაგრამ გამხნევების მაგალითები ბევრი ვაქვთ... მოიგონეთ ხოლმე კორნელია— ეს დალოცვილი დედა გმირი გრაკხებისა. ამასაებრ ამაყათ წარსდექით თქვენი მკილავების წინაშე, წაუყენეთ თქვენი საზრუნავი შვილები, გოგო-ბიჭები და ასე მოახსენეთ ამათ: „თქვენ მე დამცინით, მე კი ვამაყობ, თქვენ მწყევლით და მე კი ვლოცულობ თქვენთვის და ამ პაწაწინების დღეგრძელობისათვის, ესენი არიან ჩემი სიამაყე და ჩემი სულის კვეთება“; ყველანი გაჩუმდებიან და თქვენი ნათლიანი გზა უფრო და უფრო ნათლათ გაანათებს წყვდიადის გასაქარწყლებლათ... „წყეულ იყვნენ, რომელმან აცდუნოს ბრმა გზასა“,—ამბობს საღმრთო წერილი.., მაგრამ წყეულ იყვნენ იგინიც, რომელნიც ხედავენ ვისმე ბრუდე გზაზე და ირ დააბრუნებენ მათ, ვიტყვი მეც“.

ამ სიტყვებით გაათავა ჩვენმა უფროსმა თავისი შესანიშნავი სიტყვა და ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მთელი საათი ხალხი არ გავიდა დარბაზიდან და ბევრხან ჩვენი უფროსის ხმა გამონაწახივით ტრიალებდა დარბაზში. ჩვენც ველარ დავიძარით ამ ძვირფასი სანახაობით ადგილიდან და უცქეროდით რანაირათ შემოჰხვეოდა ყველა ჩვენს უფროსს და მადლობას ეუბნებოდა ჩვენს ხელმძღვანელს. ჩვენი მღვდელიც კი ჰივიდა და გადაჰკოცნა მისი განათლებული პირი-სახე... ჩვენც მალე წაგვასხეს შინ, მაგრამ ყველა ეს სანახაობა არ შორდებოდა ჩვენს მეხსიერებას და დღესაც ამოდენა კაცი გამოვიზარდე და მისი სიტყვები კიდევ მაგონდებიან და ეს მოგონება ნეტარ წუთათ ვარდაიქცა ჩემს ცხოვრებაში.

ალ. ნათაძე.

(შემდეგი იქნება.)

ალექსანდრე მაკედონელი.

ულ სხვა ს[illegible]ერათს წარმოადგენდა სპარსეთი. აქ იყო დესპოტიური — ძალმომრეობითი [illegible]რთველობა. ყოველისფერს განაგებდენ მეფის მთავრობა, მეფის მიერ დანიშნული მმართველები, ანუ სატრაპები; ადგილობრივი თვითმართველობა და პირადი თავისუფლება სრულებით უარყოფილი იყო, პირადი თაოსნობა სასტიკათ იდევნებოდა. აქ ყოველისფერი მთავრობა და იმისი ნება იყო,—ხალხი და პიროვნება-კი არაფერი. საბერძნეთში პირიქით ყოველისფერი იყო პიროვნება, ხალხი და მათი ნება; მთავრობა-კი ხალხის თავისუფალი ნების აღმასრულებელი იყო. პირველათ ალექსანდრეს შეხვდენ სპარსეთის სარდლები მდინარე გრანიკის მახლობლათ. იფიქრეს: ალექსანდრეს მცირე ჯარს ხელათ დავამარცხებთო და იერიში მიიტანეს, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ; ალექსანდრემ ერთის დაკვრით მოსპო მტერი.

მაშინ სპარსეთის მეფე-დარი — ექვსი ათასი მეომრით გამოემართა ალექსანდრეს წინააღმდეგ და დაბანაკდა ისსას მახლობლათ მდინარის ნაპირას. ერთ მხარეზე მას წყალი ჰქონდა, მეორეზე მთები. ბრძოლის ველი ამოდენა ჯარისათვის მეტათ ვიწრო გამოდგა და ჯარი ზედ ვერ გაიშალა, მაგრამ ალაგის გამოცვლა შეუძლებელი იყო, რადგანაც მდინარის მეორე ნაპირას ალექსანდრე უკვე აწყობდა თავის რაზმებს საბრძოლველათ.

სპარსეთის ჯარი სამხედრო ხელოვნების ცოდნასა და გაწვრთნას მოკლებული იყო და დარის იმედი ჰქონდა რიცხვისა. ალექსანდრემ გაამაგრა თავისი ბანაკი ისე, რომ მტერს თავს ვერ შემოევლო წაუძღვა წინ ცხენოსან ჯარს და ისეთის სისწრაფით მიიტანა იერიში მტრის მარცხენა ფრთაზე, რომ მტერი შედრკა და მალე უკან დაიხია. ალექსანდრემ მიანება მას თავი და დაჰკრა შუაგულს, სადაც მდიდრულათ მორთული ეტლიდან სპარსეთის მეფე ბრძოლის ველს დასჩერებოდა და გულში წინდაწინვე დღესასწაულობდა გამარჯვებას.

გაიმართა სასტიკი ბრძოლა; ალექსანდრე რამოდენიმე ალაგას დასჭრეს, მაგრამ ის გზას იკაფავდა და შეუჩერებლათ მიდიოდა პირდაპირ მეფის ეტლისაკენ. დარი შეშინდა; სწორეთ ტყვეთ ჩავუვარდებიო, იფიქრა, გადმოხტა ეტლიდან, მოახტა ცხენს და გაჰქუსლა. გავარდა თუ არა სპარსეთის ჯარში ხმა: მეფე გაიპარაო, ყველას თავს ზარი დაეცა. ბრძოლის ველს თავი მიანებეს და ყველა აქეთ-იქით გარბოდა. სპარსეთის ჯარი იმდენათ უზარ-მაზარი იყო, რომ იმდენი მაკედონელებს არ დაუხოციათ, რამდენიც თვითონვე დასრისეს არეულობისა და გაქცევის დროს. რა სურათი უნდა იყოს, როდესაც ექვსასი ათასი კაცი თავ-ზარდაცემული უგზო-უკვლოთ გაიქცევა!

ასი ათასზე მეტი სპარსელი გაწყდა ამ ბრძოლაში, დარი ეფრატს გაღმა გაიხიზნა. ბანაკში ოთხ-მილიონზე მეტი სიმდიდრე დარჩა და ყოველივე ეს, მეფის დედა და ცოლ-შვილი ალექსანდრეს ჩაუვარდა ხელში. როდესაც დაქანცული ალექსანდრე დარის ძვირფას კარავში შევიდა მოსასვენებლათ, მას შამოესმა ქალების ტირილი. გაგზავნა კაცი ამბის გასაგებათ. „კარავის მეორე ნახევარში დარის დედა და ცოლ-შვილია, მათ მეფე მოკლული ჰგონიათ და სტირიანო“, მოუკიდა ამბავი.

— გარდაეცით, რომ დარი ცოცხალია და უვნებელი, ის მხოლოდ გაიქცა! წარმოსთქვა ალექსანდრემ. მეორე დღეს თვითონ ინახულა მეფის ოჯახობა, ექვსი წლის ვაჟი დარისა ხელში აიყვანა, მოეფერა, აკოცა. ცოლს, ქალიშვილებსა და დედას ღირსეული პატივი სცა და აღუთქვა: არც თქვენ, არც მეფეს ხელს ვერავინ ვერ გახლებსთ და არც არავინ რას გკადრებსთო.

ამ ბრძოლაში მაკედონელებმა დაჰკარგეს ოთხას ორმოცდა თორმეტი კაცი, რომლებიც მეორე დღესვე დაასაფლავეს.

ალექსანდრე დაბანაკდა სირიის ქალაქ მარაფაში, რომ ბრძოლისაგან დაქანცულ ჯარს დაესვენებია. დარიმ მიუგზავნა მას დესპანები და აღუთქვა სრული მეგობრობა: ოღონდ ჩემი დედა და ცოლ-შვილი დამიბრუნეო.

ალექსანდრემ წერილით გასცა პასუხი.

„ალექსანდრე დარს. სალამი. შენი წინაპრები გადმოვიდენ საბერძნეთში და აგვიკლეს, თუმცა ჩვენ მიზეზი არ მიგვიცია. მე ამომირჩიეს ბერძნებმა მხედართ მთავრათ, რომ სპარსეთი-

სათვის სამაგიერო მეზღო, მაგრამ საბაბი შენვე მომეცი: ქრთამითა და ჭორებით გინდოდა ბერძნები შეგესყიდა და ჩემს წინააღმდეგ აგემხედრებია. ამიტომ გამოვილაშქრე შენს წინააღმდეგ. მე დაგამარცხე შენ და დავეპატრონე მთელს აზიას. მოდი ჩემთან და ღირსეულათ მიგიღებ. მარტო ოჯახ[illegible]ი არა, რაც გინდა, მთხოვე: ყოველისფერს — მიიღებ, მხოლოდ [illegible]ღიარე, რომ აზია მე მეკუთვნის, თუ მე ვცდები, შესდექი და იარაღით გამეცი პასუხი.“

ალექსანდრემ განაგრძო გზა. სხვა და სხვა კუთხეები და ქალაქები უბრძოლველათ ემორჩილებოდენ მას. მხოლოდ ქალაქმა ტირმა გაუწია წინააღმდეგობა და დამორჩილებაზე უარი განაცხადა. ტირი გაშენებული იყო პატარა კუნძულზე, გარეშემო ზღვა ერტყა და ძალიან მდიდარი ქალაქი იყო, რადგანაც უძველეს დროში იმის ხელში იყო მთელი ვაჭრობა ხმელთა შუა ზღვაზე. თავისი მდებარეობით ტირი მიუდგომელ ქალაქათ ითვლებოდა. ტირის აღება აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა ალექსანდრესათვის, რადგანაც უამისოთ ის ვერც ეგვიპტეს აიღებდა, ვერც სპარსეთის ფლოტს მოსპობდა. სპარსეთის ფლოტი-კი საკმაოთ ძლიერი იყო და, თუ ალექსანდრე სპარსეთის შუაგულისაკენ გასწევდა, ეს ფლოტი საბერძნეთს შეესეოდა. ამიტომ ალექსანდრე ან აკან უნდა დაბრუნებულიყო, ან ტირი აეღო. რვა თვე მოანდომა ალექსანდრემ ქალაქის აღებას და აგვისტოში 332 წელს ქრისტეს დაბადებამდე თავისი მიზანი განახორციელა. ამავე დროს დარიმ ახალი დესპანები გამოუგზავნა ალექსანდრეს და შამოუთვალა: დაგითმობ ყველა ადგილებს ეფრატამდე, ოცდა ორ მილიონს მოგცემ და ჩემს ქალიშვილს ცოლათ, მხოლოდ ჩემი ცოლ-შვილი და დედა დამიბრუნე და ზავი შევკრათო.

ალექსანდრემ გამართა სამხედრო თათბირი. თათბირზე ერთმა, სახელათ პარმენიონმა, წარმოსთქვა: მე რომ ალექსანდრე ვიყო, ამგვარ პირობებზე უსათუოთ დავთანხმდებოდიო.

— მეც ასე მოვიქცეოდი, პარმენიონი რომ ვიყო, მაგრამ მე ალექსანდრე ვარ და ჩემი პასუხი სპარსეთის მეფემ უკვე იცის. წარმოსთქვა ალექსანდრემ და შეუთვალა მეფეს: მაღიარე მთელი აზიის მპყრობელათ და ზავით მხოლოდ მაშინ შეგეკვრებიო. დარიმ შესწყვიტა მოლაპარაკება და შეუდგა ხელახალი ჯარის შეგროვებასა და მომზადებას.

ალექსანდრე გაემართა სამხრეთით და შევიდა პალესტინაში. მთელი პალესტინა სისხლის დაუღვრელად დაემორჩილა მას გარდა ქალაქ გაზისა, რომელიც კლდეზე იყო გაშენებული და მიწვალის კედლებით იყო გარშემორტყმული. ალექსანდრეს სარდლებმა განაცხადეს: ამ ქალაქის აღება ყოვლად შეუძლებელიაო.

ალექსანდრემ შამოარტყა ალყა ქალაქს. ერთ ალაგას, საითაც გალავნის კედელი უფრო თხელი იყო, დააყრევინა ბლომათ მიწა, ზედ დაადგმევინა ციხის დასაქცევი მანქანა და ორი თვის მუშაობის შემდეგ ჯარმა კედელი შეანგრია. ამის შემდეგ ქალაქის აღება ადვილი იყო, თუმცა მოქალაქენი თავგანწირვით იბრძოდენ. ალექსანდრე მძიმეთ დასჭრეს ამ ბრძოლის დროს.

ჯარმა დაისვენა, ალექსანდრე მოარჩა და გაემართა ეგვიპტისაკენ, რომელიც იმ დროს სპარსეთის ხელში იყო. ეგვიპტელებმა არა თუ წინააღმდეგობა არ გაუწიეს მაკედონიის გმირს, სიხარულით მიიღეს, რადგანაც სპარსელები მათ ჭირვითა სძულდათ და ალექსანდრეს ისე დახვდენ, როგორც თავის მხსნელს, ალექსანდრე შევიდა ეგვიპტის სატახტო ქალაქ მემფისში.

აქ დაბანაკებული იყო სპარსელი ჯარით დარის სატრაპი, რომელსაც ალექსანდრესათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. ეგვიპტელები კერპთაყვანის მცემლები იყვენ. მათ სწამდათ ღმერთი ფტა, რომელმაც ყოველივე შექმნა. ამ ღმერთს სწირავდენ ისინი უნიშნო შავ ხარს, რომელსაც ეკლესიაში ინახავდენ და ღვთაებრივ პატივსა სცემდენ. ამ ხარს სახელათ უწოდებდენ აპისს და მასში ისინი ჰხედავდენ თავის ღმერთს ფტის. როდესაც აპისი მოკვდებოდა, მას დიდის ამბით დაასაფლავებდენ და ამის სამაგიეროთ ქურუმნი ამოირჩევდენ მთელს ეგვიპტეში ახალს. როდესაც სპარსელებმა ეგვიპტე დაიპყრეს, ეკლესიაში აპისი მოჰკლეს. ეს ისეთი შელახვა იყო ეგვიპტელთა სარწმუნოებისა, რომ მათი გულის მოგება ამის შემდეგ შეუძლებელი იყო. სულ სხვა ნაირათ მოიქცა ალექსანდრე. შევიდა თუ არა ქალაქში, ის მაშინათვე გაემართა ეკლესიისაკენ, აპისს თაყვანი სცა და მსხვერპლი შესწირა. ამ ამბავმა მთელი ეგვიპტე აღტაცებაში მოიყვანა.

ეგვიპტეში ყველაზედ დიდი მდინარე ნილოსია, იქ საცა ნილოსი ხმელთა შუა ზღვას უერთდება, ალექსანდრემ დაარსა ქალაქი ალექსანდრია. მთელი ქალაქის გეგმა თვითონ ალექსანდრემ შეადგინა. ეს ქალაქი დღესაც არსებობს, უწინდელს დროში ხომ როგორც ვაჭრობით ისე განათლებით მას უპირველესი ადგილი ეჭირა და იმის მცხოვრებთა რიცხვი [illegible]ლიონს აღემატებოდა.

ალექსანდრე გამობრუნდა უკან, ტირში ამოიარა აქ შემოიერთა მაკედონიიდან მოსული ახალი ჯარის კაცები, გადვიდა ეფრატზე და მიაშურა შუაგულ სპარსეთს. აქ მან გაიგო რომ დარი ურიცხვი ჯარით სოფელ გავგამელასთან დაბანაკებულიყო და ალექსანდრეს უცდიდა. ალექსანდრე გადვიდა მდინარე ტიგროსზე და გაემართა დარისაკენ. მთელი წლის განმავლობაში აგროვებდა სპარსეთის მეფე ჯარს, წვრთვნიდა მტრის დასახვედრათ, დაამზადა ერთი მილიონი ქვეითი ჯარი, ორმოცი ათასი ცხენოსანი. ადგილი, სადაც ამოდენა ჯარი იყო დაბანაკებული, ყოველისფრით ხელს უწყობდა სპარსელებს.

გათენებული იყო, როდესაც ალექსანდრე მტრის ბანაკს მიუახლოვდა. სპარსელები დაბანაკებულიყვენ თვალგადუწვდენელ ჭალაში; მაკედონელებსა და სპარსელებს შუა მდინარე ჩამოდიოდა, გალმა-კი მაკედონელების მხრიდან მთაგრეხილი იწყებოდა.

ალექსანდრემ დაასვენა ჯარი, თვითონ-კი რამოდენიმე კაცით წინ გასწია, რომ მდებარეობა და მტრის ბანაკი დაეთვალიერებია შორიდან, შუადღეზე ალექსანდრე უკან დაბრუნდა, დაათვალიერა თავისი ჯარი, გაამხნევა ყველა და დაარიგა სარდლები, თუ ვინ როგორ უნდა მოქცეულიყო ბრძოლის დროს.

დაღამდა. მაკედონელებმა კარგათ ივახშმეს და ძილსა და მოსვენებას მისცეს თავი. სპარსელები-კი მთელი ღამე ფეხზე იდგენ და ელოდენ: აი აგერ დაგვეცემა მტერი თავზეო.

ღამე სარდლებმა მიმართეს ალექსანდრეს და ურჩიეს: უმჯობესია, ღამის სიბნელით ვისარგებლოთ და მტერს თავს დავესხეთ, თორემ დღისით ასთ ურიცხვ მტერთან გამკლავება მეტათ საფრთხილო და სახიფათოაო.

— მე გამარჯვებას არ ვიპარავ! უპასუხა ალექსანდრემ და გადაჭრით გამოაცხადა: როდესაც ჩემი ჯარის კაცები გამოიძინებენ და კარგათ გათენდება, ბრძოლას მხოლოდ მაშინ დავიწყებო.

და მართლაც მაკედონელებმა მშვენივრათ გამოიძინეს, სპარსელები-კი მთელი ღამის უძილობამ და მტრის მოლოდინმა მოჰქანცა. გათენდა, ჯარმა ისაუზმა, ალექსანდრეს-კი ისევ ეძინა. მოხუცმა სარდალმა პარმენიონმა ველარ მოითმინა, შევიდა ალექსანდრეს კარავში და გააღვიძა.

— როგორ შეიძლება ამდენი ძილი, როცა არ ვიცით, დღეს რა დაგვემართება! წარმოსთქვა პარმენიონმა.

— მე-კი მგონია, რომ ჩვენ უკვე გავიმარჯვეთ, რადგანაც დარი ჩვენ გვემალებოდა და ჩვენ-კი მას დავეძებდით! ღიმილით მიუგო ალექსანდრემ.

ალექსანდრეს ჰყავდა ორმოცი ათასი ქვეითი ჯარი, შვიდი ათასი ცხენოსანი. სპარსეთის ჯარს მაკედონელები ყლუპათ არ ეყოფოდა, მაგრამ რამდენათაც სპარსელები რიცხვით სჭარბობდენ მაკედონელებს, იმდენათ მაკედონელები ცოდნითა და გამოცდილებით სჭარბობდენ სპარსელებს. გარდა ამისა ალექსანდრეს სამხედრო ნიჭს, გამჭრიახობას და ხერხს სპარსეთის მეფე და მისი სარდლები მოკლებული იყვენ.

ალექსანდრემ ისე დააწყო თავისი ჯარი, რომ მტერს თავს დავლა ვერ მოეხერხებია.

ალექსანდრე თვითონ მიუძღოდა წინ ცხენოსან ჯარს. ეს ჯარი იმდენათ გაწვრთნილი და გამოცდილი იყო, რომ რაკი ერთი მიესეოდა მტერს, მისი დახევა შეუძლებელი იყო: ან მთლათ უნდა გამწყდარიყო, ან მტერს გაარღვევდა. ალექსანდრე გადასჩერებოდა ურიცხვ მტერს და ათვალიერებდა, სად არის უფრო სუსტი ალაგი მტრისა, რომ იქ მივიტანო იერიშიო. მან განგებ ისე წაიყვანა ჯარი, თითქოს მარცხნიდან აპირებდა თავდასხმას. სპარსელებმაც უმთავრეს ძალას მარცხნით მოუყარეს თავი.

ალექსანდრემ აქეთ აუტეხა სპარსელებს ბრძოლა, სპარსელები მოაწვენ აქეთკენ; ალექსანდრემ-კი თავისი ცხენოსნებით მიაშურა შუაგულს, სადაც დარი იმყოფებოდა, როდესაც ბრძოლის ველის მარცხენა მხარეზე გახურებული ბრძო-

ლა იყო, ალექსანდრე მოულოდნელათ დაესხა თავს დარის, მეფის მეეტლე მოჰკლა და დარისაც ტყვეთ ჩაიგდებდა, რომ არ გაქცეულიყო. ალექსანდრე გამოტრიალდა და ეკვეთა მტრის მარჯვენა ფრთას. სპარსეთის ჯარი შუაში მოემწყვდა, შეშინდა, მეფ ს გაქცევის ამბავმაც თავზარი დასცა და პირი იბრუნა. ალექსანდრე დაედევნა უკან ჯარს, საღამომდე სდია, რომ როგორმე დარი დაეჭირა, მაგრამ მეფემ მცირეოდენი მხლებლებით გაასწრო და თავს უშველა.

ეს მოხდა პირველ ღვინობისთვეს 331 წელს ქრისტეს დაბადებამდე. მეორე ამის მსგავსი ბრძოლა ძველმა ისტორიამ არ იცის.

ალექსანდრემ დაისვენა. შემდეგ გაემართა ბაბილონისაკენ. ბაბილონი ძველათ ერთი შესანიშნავი და უმშვენიერესი ქალაქი იყო; თავისი სილამაზით, სიმდიდრით, ვაჭრობით, განათლებით ის მთელ მაშინდელ მოწინავე კაცობრიობას იზიდავდა და აკვირვებდა. ბაბილონელების უმთავრესი ღმერთი იყო ბელა.

შევიდა თუ არა ალექსანდრე ბაბილონში, მიაშურა უმთავრეს ეკლესიას, თაყვანი სცა ბელას კერპს და ამით ბაბილონელები აღტაცებაში მოიყვანა. თავისი მოქმედების დროს ალექსანდრემ ძალიან ბევრი სხვა და სხვა ხალხი გაიცნო აზიაში, დაიპყრო და ყველას სარწმუნოებას პატივსა სცემდა. ამგვარათ იმიტომ კი არ იქცეოდა, რომ სხვების გული მოეგო, არამედ იმიტომ რომ თვითონაც მეტათ მორწმუნე კაცი იყო.

ალექსანდრეს ძალიან მოეწონა ბაბილონი და გადასწყვიტა: ეს უნდა იყოს დედა ქალაქი იმ დიდი იმპერიისა, რომელსაც მე დავაარსებო. ბაბილონიდან გაემართა სპარსეთის სატახტო ქალაქ სუზას, უბრძოლველათ აიღო ქალაქი და ამგვარათ მთელი ხაზინა სპარსეთისა — ას-ოც-და-ათ მილიონზე მეტი — ხელში ჩაიგდო. მეფის სასახლე მიტოვებული იყო. აქ იმდენი სიმდიდრე დახვდა ალექსანდრეს, რომ იმის გადმოზიდვას ხუთი ათასი აქლემი და ოცი ათასი ჯორი მოუნდა.

აქ ალექსანდრემ დაისვენა რამოდენიმე თვე და შემდეგ გასწია ჩრდილოეთისაკენ, რადგანაც ეკბატანაში დარი ეგულებოდა. ალექსანდრეს მოახლოება რომ გაიგო, სპარსეთის მეფემ, ეკბატანიდან ბახტრიონში გადვიდა.

ივ. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეკი.

ცეცხლის მძრწოლველი რაზმის ძალლი.

XI.

ებია დაიბნა, არ იცოდა რა ექნა. სამას მოუჯდა და ნაზად თავზე ხელს უსვამდა და როდესაც ყმაწვილი თან და თან დამშვიდდა, უთხრა:

— სამა, ჩემო საყვარელო, ქვეყანაზე რამდენი პატარა ვაჟი და ქალია, რომ ღმერთს სხვა და სხვა რამეებს სთხოვს და ეველრება და ის ერთბაშათ ვერ ასრულებს. ყველაფერს, ჩემო კარგო, დრო და მოთმინება უნდა.

— კარგად გაიგე, ბებია, რომ მე ღმერთს მარტო ამას ვთხოვდი და იმან-კი ეტლი მომცა, რომელიც არც-კი მითხოვნია.

— მოიცა, შვილო, აი ზაფხული მოვა, ღმერთი მოწყალეა ბილლის თვალები მოურჩება და მაშინ შენ და ის ერთად პატარა ეტლით ისეირნებთ ხოლმე.

— ო, ზაფხული შორს არის! უპასუხა სამამ,— მე ვეველრებოდი, რომ ახლა აეხილა თვალები ბილლისთვის.

— გაიგონე, რომ ჩვენ ხელთ არ არის: ღმერთს უნდა მივენდოთ, იმან ყველაფერი ჩვენზე უკეთ იცის,— იძახდა ბებია.

— მაშ ახლა მე აღარ ვილოცავ! იძახოდა სლოკინით სამა.

— ბილლი, გააგრძელა ბებიამ, ახლა კარგათა ცხოვრობს, კარგი მეგობრები ჰყავს, იქნება პაპამ იმის დედაც იპოვნოს და მერე ღმერთი მოწყალეა, ბილლის ნელ-ნელა თვალებიც აეხილება, ცოტა მოითმინე.

რამდენიმე ხანს სამა ჩუმათ იჯდა. ბებიამ შეამჩნია რომ ის რაღაზედაც ფიქრობს.

— უეჭველია, ქვეყანაზე ბევრი პატარა ქალი და ვაჟია, რომელნიც ღმერთსა სთხოვენ რასმეს, — სთქვა მან.

— რასაკვირველია, ჩემო მტრედო, აბა, წარმოიდგინე, რამდენათ ბილლი ახლა წინანდელზე უფრო ბედნიერია.

— კარგი, — სთქვა მან, დამშვიდებით და გადაწყვეტით, როგორც ჩვეულება ჰქონდა ხოლმე, — კარგი, ამას იქითაც ვილოცავ. მერე იცი, ბებია! უთუოდ ღმერთს ეძნელება ყველას თხოვნის ასრულება, მე ვილოცავ და ვსთხოვ, რომ ნება მომცეს დავეხმარო... ამას იქით ვეცდები შევიტყო ვის რა უჭირს და...

— ძალიან კარგი, — სთქვა ბებიამ. — ღმერთმა ადამიანი ისე გააჩინა, ისე თავისი სული ჩაუდგა, რომ იმის სურვილს ასრულებდნენ, რომ გაჭირებაში და მწუხარებაში შესწეოდენ თავიანთ მოძმეებს, შემწეობას აღმოუჩენდნენ და შეუმსუბუქებდნენ იმათ ნაღველს.

სამა თან და თან დამშვიდდა და ცდილობდა გამხიარულებულიყო. ბოლოს პაპასთან ბაასმა სახეზე უკანასკნელი ღრუბლებიც მოაცილა და ჩვეულებრივ გამხიარულდა.

— აი რა გითხრათ ჩემო საყვარლებო, — სთქვა ჩაის შემდეგ ბებიამ — მე ახლა ცოტაოდენი საქმე მაქვს და თქვენ გირჩევთ ბილლიც წაიყვანეთ და ეტლით სასეირნოთ წადით. საუზმეზე-კი ყველანი ერთად მობრუნდით, აგრე განა, სამა?

— ძალიან კარგი, — სთქვა სამამ, — ბილლისაც ძალიან იამება. უნდა ჩქარა სამზარეულოში წავიდე და ცოტაოდენი რამ წავიღო.

პატარა ხანს უკან პაპა და შვილი-შვილი კალათით სავსე ბილლის წამოსაყვანათ მივიდნენ. ბრმა ბავშვი აღტაცებაში მოვიდა, სახე გაუბრწყინდა. როცა კიბეზე ჩამოდიოდა, ამას ხელში რაღაც შეკრული ეჭირა.

— ეგ რა არის? — ჰკითხა პაპამ.

— ეს ჩემი საყვარელი ჯეკის საჩუქარია, ხომ იმასთან შევივლით? — ოჰ, პაპა, ჩვენ ჯეკი სრულებით დაგვავიწყდა, — დაიყვირა სამამ.

— მე მგონია, რომ კალათაში რაც არის ჯეკსაც ეყოფა.

— აგერ რამდენი დღეა ბილლი ჯეკისთვის გემრიელ ლუკმებს აგროვებს, — სთქვა ქალბატონმა განლონმა.

ჯეკი სახლში იყო და ნაცნობების ნახვა ძალიან იამა, მეორე ბილლის მხრებზე წინა თათები დაადო და ცხვირიც-კი აულოკა. რასაკვირველია ჯეკმა შესაფერათ დააფასა ბილლის საჩუქარი. როცა წინ დაუდეს საჩუქარი მან გაშალა და მადიანათ შეექცეოდა, საუკეთესო ნაჭრებს არჩევდა.

ბავშვები დიდ ხანს ვერ დარჩნენ ჯეკთან, ერთი შეხედეს რა გემრიელათ სჭამდა და როგორ სიხარულით კუდს იქნევდა.

— რომ იცოდე, ბილლი, როგორ გაეხარდა ჯეკს, რა სიამოვნებით შეექცეოდა, ეუბნებოდა სამა ბილლის.

— მე ყველაფერი მესმოდა! უპასუხა ბილლიმ.—მესმოდა როგორ მადიანათ ღეჭავდა და კუდს იქნევდა, ვგრძნობდი, როგორ ალერსით შემოგვცქეროდა.

ორივე ბავშვი ძალიან მხიარულად იყვნენ.

—

როცა ტობი მამამ გამოაგდო იმ საშინელ სიცივეში ყმაწვილები ძალიან შესწუხდნენ, მეტადრე ქალები. სუფრაზე მოწყენილები ისხდნენ და ხმას არ იღებდნენ. ცრემლებს ყლაპავდნენ, რომ მამა უფრო გაეჯავრებინათ. როცა მარტოკა დარჩნენ და დაწვნენ ტირილი მორთეს. დედა მოვიდა მათთან და ანუგეშებდა.

— ოჰ, დედა, მე ჩემი წილი ძეხვი სულ ერთიან შევჭამე და ტობის არ დაუტოვე!— ტიროდა მერი,—რა ავი ვარ, რა ავი!..

— დამშვიდდი, ჩემო საყვარელო, მე კარგა ბლომათ გემრიელი საჭმელი მოუგროვე. ის, უთუოდ, ისევ საკუჭნაოში დაიმალებოდა. ეხლავე წავალ, ვაჭმევ და თბილათ დავხურავ.

დედამ მერი მალე დაამშვიდა, მაგრამ ჯონის დაწყნარება ძალიან ძნელი იყო. ის ჩუმათ იწვა თავის ბნელ ოთახში, როცა დედა მივიდოდა კარებთან და ჰკითხავდა—სძინავს თუ არა, ყმაწვილი ცდილობდა დაწყნარებული ეპასუხნა, მაგრამ დედა გრძნობდა რომ ბავშვს რაღაც ემართება, მიუახლოვდა და ნახა, რომ თავი გაცხელებული აქვს და ლოყებზე ალმური ასდის.

— არა ღირს, ჩემო კარგო, ასე შეწუხება,—უთხრა დედამ.— ის ახლა თავისთვის მოსვენებული წევს საკუჭნაოში და სძინავს. შენ რა დაგემართა.

— მამა ძალიან სასტიკათ მოიქცა, რომ საწყალი ტობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააგდო, მე თავის დღეში არ დამავიწყდება, — ტიროდა ბავშვი.

— ნელა, ნელა! — ეჩურჩულებოდა დედა, — როგორ შეიძლება მამაზე მაგრე ლაპარაკი! განა არ იცი რომ ის ერთობ ბევრს მუშაობს და იღალება, დასვენება უნდა, ძაღლები-კი ძალიან აჯავრებენ და არ ასვენებენ.

ბევრი ლაპარაკის შემდეგ ბავშვი ძლივს დაწყნარდა და ბოლოს გადასწყვიტეს, რომ ძაღლს საკუჭნაოში შეინახვენ, თბილათ დახურავენ და მოუვლიან.

მეორე დღეს, როცა ბავშვები ადგნენ, შობის დღეს დილით, და დედასთან შევიდნენ ჯერ გაუკვირდათ, მერე აღტაცებით კინაღამ გადირიენ, როდესაც ქალბატონ ლედველის საჩუქრები დაინახეს. მერის ხომ ვერ წარმოედგინა, რომ ეს მშვენიერი თოჯა, რომელიც ხელში ეჭირა სრული მისი საკუთრებას შეადგენდა. საჭმელმაც და ტკბილეულობამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დედას ყველა გარშემოეხვივნენ და არაფერს არ აცლიდნენ. ბოლოს როგორც იყო ბავშვები სასეირნოთ გაისტუმრა და საქმეს შეუდგა.

— წადით, შვილებო, გაისეირნეთ. დღეს ბევრს უთუოდ შობის ხე ექნებათ და ნახეთ, დაათვალიერეთ. როცა დაბრუნდებით მიამბეთ.

კმაყოფილნი, მხიარულნი სამივე კარში გამოცვივდნენ და სასეირნოთ წავიდნენ. ჯონმა თავისი ახალი მარხილი წამოიღო, ანნამ აპგა და მერიმ თავის მშვენიერი თოჯა. ბავშვებმა დილაზე შეიტყეს, რომ ტობი გაქცეულა და საძებნელად წავიდნენ.

ისინი მიუახლოვდნენ ცეცხლის მქრობელ სახლს. ჯეკი ისევ ბილლის მოტანილ გემრიელ საჭმელს შეექცეოდა... მიუალერსეს... მტრედებს შეხედეს, ყველაზე უფრო კოჭლი მტრედი მოეწონათ... ის ისე შეჩვეულიყო რომ ხელიდამ კენკამდა. მერი დაიღუნა, უნდოდა მტრედისთვის ხელი გადაესვა, მაგრამ მტრედი გადაფრინდა. ბავშვები უკან გაეკიდნენ.

— გვეყოფა — სთქვა ენნიმ — შორს წასვლა აღარ შეიძლება, დავიგვიანებთ და დედა შეწუხდება.

— მე მშიან — სთქვა მერიმ და თვალწინ გემრიელი სადილი წარმოუდგა. — ვერ დავდივარ, ფეხები მტკივა.

— არა, არა, ცოტა მოიცადეთ, მინდა მტრედი დავიჭი-

რო... ფეხს გაუშინჯავ და სახლში წავიყვან. მამა მტრედის-თვის არ გაგვიწყრება.—შენ, მერი, ნუ წუწუნებ, ჩემ ახალ მარხილში ჩაჯექი და წაგიყვან.

მერი დამშვიდდა, თავისი თოჯით მარხილში ჩაბრძანდა ლ და ლ ძმამ გაარბენინეს.

მაგრამ როცა ბავშვები მტრედს მიუახლოვდნენ, იმან ფრთა ფრთაზე შემოჰკრა და მაღლა აფრინდა.

— აი, სთქვა ენნიმ,—რა ტყუილათა ვსდევნიდით... აი-ლო და გაფრინდა.

მტრედი სარკმელზე შეჯდა და ფრთებს ისწორებდა. სარ-კმლიდან მტრედს ერთი ფერ მკრთალი გამხდარი ქალი უყურებდა. ეს ავადმყოფების მომვლელი ქალი იყო, ის მივიდა ახლოს და ფანჯარა გააღო. მტრედი შეფრინდა და სავარძელზე დაჯდა.

— ყური დამიგდე, ჯონ, ეს ხომ ჩვენი ბილლის დედაა, გახსოვს ის ბრმა ყმაწვილი?—უთხრა ენნიმ.

— რათა გგონია, — ჰკითხა ჯონმა.—შენ ის მარტო ერთ-ხელ ნახე.

— ხო, ნამდვილათ ის არის! ისე დამამახსოვრდა იმისი თმები, სწორეთ ბილლის თმას ემსგავსება, ისეთივე ხუჭუჭი!.. ეს დედაკაცი ბილლის დედას ძალიანა ჰგავს! უთუოდ ეს საავათმყოფოა და აქ მოიყვანეს.

— შეიძლება — სთქვა ჯონმა.

— ნეტაი ახლა ვიცოდე ბილლი სად არის, რა კარგი იქნებოდა? იყვირა ენნიმ.

— იქნება დედამ კიდეც იპოვნა,—სთქვა ჯონმა.

— არა მგონია, უპასუხა ენნიმ,—განა მაშინ ასეთი მოწყენილი იქნებოდა!

მართლაც ეს ქალი ისეთი მწუხარე და საცოდავი იყო, რომ ბავშვებმაც-კი ყურადღება მიაქციეს. თავი უკან ჰქონდა გადაგ-დებული და გამხდარი ხელებით მტრედს ნაზათ უალერსებდა.

— მშიან, შინ მინდა!—დაიძახა ხელ ახლად მერიმ.

ახლა სხვებმაც შიმშილი იგრძნეს. ენნი და ჯონი მარხილ-ში შეეგნენ და გასწიეს.

რამდენიმე ნაბიჯის გავლა საავადმყოფოდამ ვერც-კი მოა-სწრეს, რომ ზარების წკარუნი მოესმათ და ბავშვების ხმა. ყმა-წვილები გზიდამ გადადგნენ.

ეტლში ერთი კაცი და ორი ბავშვი ისხდნენ. ეს ის კაცი იყო, რომელმაც შაქრის პურები უყიდა ამათ. ესენი ისე დაკვირვებით უყურებდნენ ამ კაცს, რომ დანარჩენებს არც-კი მიაქციეს ყურადღება, ეტლი ძალიან ნელა მიდიოდა, ბავშვები დაუახლოვდნენ და ბრმა დაინახეს.

— ბილლი, შენ ხარ, — დაიყვირა ერთმა უფროსთაგანმა.

— დააყენე, უთხრა ლედველმა მეეტლეს და ეტლიც ბავშვების წინ შეჩერდა.

ბრმამ ბავშვების ხმა რომ გაიგონა, იცნო, გაფითრდა და ფეხზე წამოვარდა.

— სადა ხართ, წამოიყვირა მან და ხელები იმათკენ გაიშვირა

— აქა, აქ! სთქვა ენნიმ და ეტლთან ახლოს მივიდა.—სამივენი აქა ვართ. ჩვენ არ ვიცოდით ბილლი რა დაგემართა და ძალიან ვწუხდით.

— შენი დედა კი უთუოდ აქ ახლოს, აი იმ დიდ სახლებში უნდა იყოს,—სთქვა აღელვებით ჯონმა.—ჩვენ ახლა ვნახეთ, ფანჯარასთან იჯდა ავადმყოფი და დასუსტებული.

— დედა! რ-გორ თუ დედა? დაიყვირა ბილლიმ და ეტლიდამ გადმოხტომა დააპირა.—ბატონო ლედველ, ნება მიბოძეთ დედა-ჩემთან წავიდე. — რა ვქნა? როგორ მოვიქცე!

საცოდავი ბავშვი თავის სრულ უმწეობასა გრძნობდა და მორთო ტირილი.

— დამშვიდდი ჩემო კარგო, ანუგეშებდა ლედველი,— დამშვიდდი! თუ მართლა დედა შენი აქ არის, ეხლავ მოვძებნით. კი არ უნდა ტიროდე, უნდა გიხაროდეს.

ლედველმა ბავშვებს გამოჰკითხა, როგორ გაიგეს რომ ბილლის დედა ამ საავადმყოფოში წევს და იმათაც ერთმანერთს არც-კი აცლიდნენ ისე უამბეს, რომ კოჭლი მტრედი უნდოდათ დაეჭირათ და სდევნიდნენ. მტრედი აფრინდა და იმ სახლის ფანჯარაზე ჩამოჯდა. იქ ქალი იჯდა, რომელიც ბილლის დედას ძალიანა ჰგვანდა.

— მე ისე დარწმუნებული ვარ, რომ ის ბილლის დედა იყო როგორც მე, ახლა თქვენ წინა ვდგევარ,—იძახდა ენნი.—მე კარგათ მახსოვს იმისი თმები და როგორ იყურებოდა ხოლმე.

ლედველმა უბრძანა მეეტლეს ეტლი მოებრუნებინა. სა-

ავადმყოფოში შევიდა, იმ ქალის შესახებ, რომელიც ბავშვებმა ნახეს, ცნობები შეჰკრიბა და მართლაც ბილლის დედა გამოდგა. რამდენიმე წუთის შემდეგ ბილლი თავის დედას ეხვეოდა.

როდესაც ბილლი ცოტათი დაწყნარდა, უამბო დედას რაც იმ საშინელ დღის შემდეგ დაემართა: ამ კეთილ ბავშვებზე, რომელთაც თავისთან წაიყვანეს, უვლიდნენ და აჭმევდნენ. როგორ ჯეკმა, ცეცხლის მქრობელების ძალმა, სიკვდილს გადაარჩინა, ცეცხლის მქრობლები როგორ უვლიდნენ და ეფერებოდნენ, ბოლოს სამაზე და იმის პაპაზე, და როგორ—ეხლა მათი წყალობით კარგათ ცხოვრობს.

— ამას იქით მე მალე, გამოვბრუნდები, ჩემო შვილო. რამე საქმეს ვიშოვნი,—იძახოდა გამოთხოვებისას დედა,—და ერთად ვიცხოვრებთ. როცა-კი შეგვეძლება ამ კეთილ ხალხს, რომელნიც შენზე აგრე ზრუნავენ სამაგიეროს გადუხდით.

— ჯერ ყველაზე უწინარეს უნდა ვცადოთ,—სთქვა ლედველმა,—რომ კარგად გახდეთ და გამომთელდეთ, მაშინ მუშაობის შოვნაზედაც ვიზრუნებთ.—მე, მგონია, რომ როგორც-კი ღონე გექნებათ აქედამ გამოსვლისა, იქ დაესახლეთ, საცა ახლა ბილლი არის და შემდეგ მალე ფეხზე დაგაყენებთ.

როდესაც ბილლი და ლედველი საავადმყოფოდამ წამოვიდნენ, სამა მარტოკა არ იყო, სამივე ბავშვი გვერდით უჯდა და მხიარულათ ლაპარაკობდნენ.

— მე მგონია რომ ჯერ ეს ბავშვები უნდა სახლამდის მივაცილოთ,—უთხრა სამამ პაპას,—სადილათ დაუგვიანდებათ. —აქ ყველანი ვერ ჩავეტევით, მგონია პაპა?—ჭიდროთ ჩავსხდეთ და მერი კალთაში ჩავისვათ.

— რასაკვირველია, რასაკვირველია!—დაეთანხმა პაპა.—აბა, მერი, კალთაში ჩამიჯექი.

სამა ჩუმად იჯდა. სახე უბრწყინავდა და რაღაზედაც ფიქრობდა.

— რას ჩაფიქრდი? ჰკითხა პაპამ.

— იმაზე ვფიქრობ, რომ მე ახლა ძალიან მოხარული ვარ, რომ ბილლიმ თავისი დედა იპოვნა,—უპასუხა სამამ. ღმერთმა, რასაც ვთხოვდი, იმაზე უკეთესი საჩუქარი მომიხერხა.

XII.

დიდი ცვლილება მოხდა ცეცხლის მქრობელთა ბინაზე. შუა ცსენი დაბერდა და ჩქარი სირბილი ველარ შესძლო, მაგრამ რადგან მოხუცებული ჯიმი ძალიან თავმოყვარე იყო თავის ამხანაგებს არ უნდოდა ჩამორჩენოდა, თავს ძალას ატანდა, როცა ადგილას მივიდოდა ძლივს სუნთქავდა. ბოლოს ბრძანება მოვიდა, რომ ჯიმი ახალგაზრდა ცხენზე შეეცვალათ.

ამ ბრძანებამ მქრობელები ძალიან შეაწუხა და ყველანი მარტო ამაზე ლაპარაკობდნენ.

— თუ მოხუც ჯიმს სამსახურიდამ გადააყენებენ, მეც უნდა მიმაყოლონ თან, — იძახდა რიორდანი. — არც ერთი ჩვენგანი ისე გულმოდგინეთ თავის მოვალეობას არ ასრულებდა, როგორც ჯიმი.

— ნეტაი სხვა ცხენები როგორ-ღა იმუშავებენ უჯიმოთ, — ის ხომ ამათი მეთაური იყო.

— აიღონ და ასე კარში გააგდონ, განა შესაძლებელია? სთქვა რიორდანემ — როცა ჩავფიქრდები, მიკვირს თუ ადამიანი რამდენათ უმადურია და უსამართლო სსწყალ პირუტყვის შესახებ. ვინ იცის, იქნება წყლის მზიდავს, ან მენახშირეს ჩაუვარდეს ხელში საწყალი მოხუცი, — ჯანს გააგდებინებენ და შიმშილით სულს ამოართმევენ! გულ-ქვავია სწორედ ეს მთავრობა, რა დააკლდებოდა ხაზინას, რომ ჯიმისთვინ სარჩო დაენიშნათ, რომ თავისი სიბერე მოსვენებაში გაეტარებინა? ხომ მოვალენი არიან.

— მოვალეობა სხვა არის და ასრულება სხვა, — სთქვა მესამემ. — სწორედ იმაზე იფიქრებენ, რომ დამსახურებულ ცხენებსაც სარჩო გაუჩინონ. მაშინვე მიზეზად იმას მოიყვანენ, რომ ხაზინა გაკოტრდებაო.

— კარგი, სთქვა რიორდანემ. — რაკი მთავრობა არ ფიქრობს, მაშ ჩვენ ვიზრუნოთ. — მოდით იმ ჩვენ პატარა ჯამაგირიდამ გადავდოთ რამე, მოვაგროვოთ ფული და ჯიმი სიბერის დროს უზრუნველ ვყოთ.

ყველამ ერთხმად გადასწყვიტეს, რომ ყოველ თვე გადასდონ ორიოდე ფარა ჯიმის შესანახათ. ყველანი გამხიარულდნენ და ფიქრობდნენ, როგორ საქმე უკეთ მოაწყონ.

— მინამ ახალ ცხენს მოიყვანდნენ — იმას ბინა ვამოუცვალოთ, — სთქვა რიორდანემ. — თორემ როცა თავის ადგილას,

სადაც ამდენი წელიწადი ასეთ მძიმე შრომაში გაატარა, სხვას დაინახავს, ძალიან ეწყინება.

რიორდანის აზრი ყველას მოეწონა. ცხენი გამოიყვანეს დროზე და როცა ჭკვიანმა პირუტყვმა თავისი მეგობრები დაინახა იგრძნო, რომ ემშვიდობება მათ და ხან ერთს და ხან მეორეს მხარზე თავი დაადო.

— ხედავთ,—იძახდნენ ცეცხლის მქრობელები,—გრძნობს რომ უნდა დაშორდეს ამათ.

მართლაც ჯიმი გრძნობდა რომ სადღაც მიჰყავთ.

— უყურეთ, როგორი საყვედურით გვიყურებს,—სთქვა ერთმა ცეცხლის მქრობელთაგანმა.

— უთუოდ ჰგონია, რომ ჩვენ იმისი შრომა ვერ დავაფასეთ.

მოხუცს ახალი თბილი ჩული უყიდეს, რადგან სოფელში გზავნიდნენ და იქ საჯინიბოში ძალიან ციოდა. ზედ გადააფარეს და კარებთან გამოიყვანეს. კარებში შესდგა, ერთხელ კიდევ გადახედა თავის სადგომს, თავი ჩაღუნა და ახალ მომვლელს გაჰყვა.

— გესმის, კარგა მოუარე,—უთხრა კაპიტანმა ჯიმს წამყვანს.—გახსოვდეს, რომ ეს კარგ მოვლას და ცხოვრებას არის შეჩვეული.

— ნუ შესწუხდებით, კარგად მოვუვლით და ვიზრუნებთ, მუქთათ ფულს არ გამოგართმევთ.

ჯეკმა იგრძნო, რომ ჯიმის სამუდამოთ აქაურობას აშორებენ. ეს ხომ ამდენი წელიწადი იმასთან ერთად ცხოვრობდა, ცეცხლის საქრობლათ ერთად დარბოდა, მუშაობდა და ისვენებდა. კუდ-ამოძუებული და თავ-ჩაღუნული გაჰყვა. იმდენი ხანს სდია, მინამ ერთ მისახვევში ცხენი არ მიიმალა. ჯიმი ხშირად უკან უკან იყურებოდა და თავს იქნევდა, თითქოს მწარე ფიქრები უნდა გაეფანტა...

ჯეკი ბოლოს ისევ კუდ ამოძუებული უკან დაბრუნდა, პირდაპირ საჯინიბოში შევიდა, იქაურობა დასუნა, დაათვალიერა და ღმუილს მოჰყვა. მერე ისევ ცეცხლის მანქანასთან შევიდა და წამოწვა.

ეკ. მეხეისა.

(შემდეგი იქნება)



ხალხში გაგონილი.

(ჩაწერილი დ. ენუქიძისაგან).

ხორველამ სთქვა—ჩემისთანა
არვინ არის სატკივარში:
ბევრჯელ ერთი რომ მეწეროს,
ყველა გამეჭცევა კარში.

—

ზოგი ვენახში გარბოდა,
ზოგსა მოვეწიე გზაში:
ფეხის ფრჩხილებში ვეძგერე,
ფიცხლათ გაურბინე ტანში.

—

ალანძულია შავათა,
სინათლე არა აქვს თვალში,
მუხლები გამოვაცალე,
ღონე აღარა აქვს მკლავში.

—

ვაიმე, დედავ, მიშველე!
თორემ მოგიკვდები გვარში,
მინამ გყავდით, ვერ ვცხოვრობდით,
ახლა ჩასცვივდებით ვალში!



მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის.

სახალხო გაზეთი

ყოველდღიური სახოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

მომავალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ დღიურ გამოტემის გარდა გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება.

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 მან.

ცალკე ნომერი უფედგან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Редакція „Сахалхо газети“.

ПОДПИСКА НА 1911 ГОДЪ.

на политическую, общественную и литературную ежедневную газету

„Закавказье“

(Годъ VI-й).

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисѣ:		Съ пересылкой въ другіе города:	
На годъ . . .	6 р. — к.	На годъ	8 р. — к.
На полгода . .	3 р. 50 к.	На полгода . . .	4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Заграницу—вдвое.

За перемѣну адреса городского на иногородній—1 руб., съ иногородняго на городской—50 коп.

Объявленія внѣ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго дома. Л. и Э. Метцль и К. въ Москвѣ, Мясницкая, д. Сытова, и въ отдѣленіяхъ въ С.-Петербургѣ, Большая Морская, № 11, и въ Варшавѣ, Маршалковская, № 130, по 24 к. передъ текстомъ и 12 к. послѣ текста.

Редакція и контора помѣщается въ Тифлисѣ, на Дворцовой ул., въ домѣ грузинскаго дворянства.

Телефонъ редакціи 917. Телефонъ редактора 1035.

Редакторъ М. В. Мачабели. Издатель Д. П. Мадчаваріани.

ჯეჯილი

ყაზაკოვ ნასაგებიანი ჟურნალი.

ოცდა მეორე წელიწადი

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის

გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განეოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება **4** მან, ქალაქ გარეთ (გაგზავნით) **5** მან. ნახევარი წლით **3** მან., ცალკე ნომერი **40** კაპ. ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:

თელავში—კნ. ნ. ჩოლაყაშვილს,

სიღნაღში—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.

ჭიათურაში—ნიკო წუწუნავას.

ბათუმში—მიხეილ კალანდაძეს.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузынскаго дѣтскаго журнала „Джеджили"

რედ.—გამომცემელი ან. თუმანიშვილი წერეთლისა.

Открыта подписка на 1911 годъ

НА ГАЗЕТУ

„Закавказская Рѣчь"

Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисѣ.	Въ провинціи.
На годъ	6 руб. — коп.	8 руб. — коп.
„ полгода	3 руб. 50 коп.	4 руб. 50 коп.
„ 3 мѣсяца	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
„ 1 мѣсяцъ	— 75 коп.	— 75 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакція газ. „Закавказская Рѣчь", Эриванская площадь, домъ Харазовой.

Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь".

Редакторъ **Р. Д. Бебіевъ.**

Издатели: П. А. Готуа. Кн. Г. І. Амираджиби.